



გაეროს შებღუდული
შესაძლებლობის მეონე
პირთა უფლებების კომიტეტი

მუხლი 24 - ინკლუზიური განათლების უფლება

ზოგადი კომენტარი No. 4 (2016)

შებღუდული შესაძლებლობის მეონე პირთა სამართლებრივი
ადვოკატირების პროექტი

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის





**გაერთიანებული ერების მსოფლიო პირთა
უფლებების კომიტეტი**

მუხრი 24 – ინკლუზიური განათლების უფლება

ზოგადი კომენტარი No. 4 (2016)

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების
პროექტი**

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

2016 წელი

შებლუდური შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მე-6 მუხრის ზოგადი კომენტარის თარგმნა, ბეჭდვა და გავრცელება შესაძლებელი გახდა შებლუდური შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

მოცემულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოსაზრებებს.



**შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირთა უფლებების
კონვენცია**

გავრცელება: საყოველთაო
2016 წლის 2 სექტემბერი

ორიგინალი გამოცემულია
ინგლისურ ენაზე

წინასწარი შეუსწორებელი
ვერსია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი

ზოგადი კომენტარი No. 4 (2016)

მუხლი 24: ინკლუზიური განათლების უფლება

1 შესავალი

1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ისტორიულად შემწეობის მიმღებ პირებად აღიქმებოდნენ, ამჟამად საერთაშორისო კანონმდებლობა უფლებების მფლობელ პირებად მიიჩნევს, რომელთაც გააჩნიათ განათლების უფლება დისკრიმინაციის გარეშე და თანასწორი შესაძლებლობების საფუძველზე. ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციაში (CRC, 1989), საყოველთაო განათლების შესახებ მსოფლიო დეკლარაციაში (1990), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შესაძლებლობების გათანაბრების შესახებ გაეროს სტანდარტულ წესებში (1993), სალამანკას დეკლარაციასა და მოქმედების გეგმაში (1994) გათვალისწინებული ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ მზარდ ინფორმირებულობასა და აღქმავ მეთყველეს.

2 ინკლუზიის მნიშვნელობის აღიარება განათლების უფლების განხორციელებაში ბოლო 30 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გამყარდა და ასახულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში (შემდგომში, “კონვენცია”), პირველი იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუმენტი, რომელიც მიუთითებს ხარისხიანი ინკლუზიური განათლების



კონცეფციაზე. მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი (SDG 4) აგრეთვე მხარს უჭერს ხარისხიან ინკლუზიურ და თანაბარ განათლებას. ინკლუზიური განათლება მნიშვნელოვანია ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის, მაღალი ხარისხის განათლების მისაღწევად და ინკლუზიური, მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოების გასაფართოებლად. ამასთან, გასათვალისწინებელია ძლიერი საგანმანათლებლო, სოციალური და ეკონომიკური არგუმენტები. OHCHR-ის თემატური კვლევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების უფლების შესახებ (2013) ადასტურებს, რომ მხოლოდ ინკლუზიურ განათლებას შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხარისხიანი განათლებისა და სოციალური განვითარების უზრუნველყოფა, და განათლების უფლების უნივერსალურობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის გარანტირება.¹

3 ამავედროულად, მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (შემდგომში, “კომიტეტი”) გამოთქვამს შეშფოთებას, რომ კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. მილიონობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს წართმეული აქვს განათლების უფლება, ხოლო არაერთი მათგანისთვის განათლება მხოლოდ ისეთ გარემოშია ხელმისაწვდომი, რომელიც მათ თანატოლებისაგან მონყვეტილად ამყოფებს და განათლების შედარებით დაბალ ხარისხს უზრუნველყოფს.

4 ბარიერები, რომლებიც აფერხებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობას არაერთ ფაქტორს უკავშირდება, მათ შორის:

- a) შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელის აღქმისა და განხორციელების პრობლემა - ამ მოდელის მიხედვით საჯარო სივრციდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გამორიცხვას განაპირობებს არა ამ პიროვნების ჯანმრთელობის დარღვევა, არამედ თემსა და საზოგადოებაში არსებული ბარიერები;
- b) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სისტემური დისკრიმინაცია, რასაც თან ერთვის იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების იზოლირებული მდგომარეობა, რომლებიც კვლავ ცხოვრობენ გრძელვადიან ინსტიტუციებში და დაბალი მოლოდინი იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ, რომლებიც

¹ A/HRC/25/29 პუნქტი 3

ჩვეულებრივ გარემოში იმყოფებიან, რაც ხელს უწყობს ცრურწმენებისა და შიშის გამძაფრებასა და დამკვიდრებას;

- c) ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების ბუნებისა და უპირატესობების და აგრეთვე, საყოველთაო განათლებაში მრავალფეროვნების, მათ შორის კონკურენტულობის შესახებ ცოდნის ნაკლებობა; მშობლებთან კომუნიკაციის ნაკლებობა და მხარდაჭერის მოთხოვნებზე შესაბამისი რეაგირების ნაკლებობა, რაც იწვევს უსაფუძვლო შიშსა და სტერეოტიპებს იმის თაობაზე, რომ ინკლუზია გამოიწვევს განათლების ხარისხის გაუარესებას ან სხვაგვარ უარყოფით გავლენას იქონიებს სხვებზე;
- d) ანგარიშვალდებულებისა და პროგრამის განვითარებისათვის საჭირო დეტალიზებული მონაცემებისა და კვლევის ნაკლებობა, რაც აფერხებს ეფექტური პოლიტიკის მიმართულებებისა და ინტერვენციების განვითარებას ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების ხელშესაწყობად;
- e) პოლიტიკური ნების, ტექნიკური ცოდნისა და შესაძლებლობის ნაკლებობა ინკლუზიური განათლების უფლების განხორციელებისათვის, მათ შორის აკადემიური პერსონალის არასაკმარისი განათლება;
- f) შეუსაბამო და არაადეკვატური დაფინანსების მექანიზმები, რათა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების წახალისება, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა, სამინისტროთაშორისი კოორდინაციის, მხარდაჭერისა და მდგრადობის ხელშეწყობა;
- g) სამართლებრივი დაცვის საშუალებებისა და მექანიზმების ნაკლებობა დარღვევების გამო კომპენსაციის მოთხოვნისათვის.

5 სახელმწიფო მხარეებმა პატივი უნდა სცენ იმ ზოგად პრინციპებს, რომელიც კონვენციას უდევს საფუძვლად, ყველა ღონისძიებაში, რომელსაც ინკლუზიური განათლების განხორციელების მიზნით გამოიყენებენ და უნდა უზრუნველყონ, რომ ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის შემუშავების როგორც პროცესი, ისე შედეგები მე-3 მუხლთან შესაბამისობაშია.

6 წინამდებარე ზოგადი კომენტარი ეხება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც რეალური ან აღქმული შეზღუდული შესაძლებლობა

გააჩნია.² კომიტეტი აღიარებს, რომ ზოგ ჯგუფს სხვებთან შედარებით განათლებიდან გამორიცხვის უფრო მეტი საფრთხე ემუქრება. ეს ჯგუფებია: შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის ან მრავალი ნიშნით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უსინათლო/სმენის არმქონე ადამიანები, აუტიზმის სპექტრის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საგანგებო ჰუმანიტარული სიტუაციის დროს.

7 კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო მხარეებმა მჭიდრო კონსულტაციები უნდა გაიარონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, ინკლუზიური საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ასპექტში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და საჭიროების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრები, აღიარებულნი უნდა იქნან პარტნიორებად და არა უბრალოდ განათლების მიმღებ პირებად.

2 24-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი

8 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განათლების მიღების უფლების რეალიზება ყველა საფეხურზე განათლების ინკლუზიური სისტემის დანერგვით, მათ შორის სკოლამდელი აღზრის დაწესებულებებში, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების დაწესებულებებში, კლასგარეშე და სოციალურ საქმიანობებში, ყველა სტუდენტისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

9 ინკლუზიური განათლების უფლება მოიცავს კულტურის, პოლიტიკისა და პრაქტიკის, ყველა ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო გარემოს ტრანსფორმაციას მათი ცალკეული სტუდენტების განსხვავებულ მოთხოვნებსა და იდენტობებზე მისადაგების მიზნით; აგრეთვე, იმ ბარიერების აღმოფხვრის ვალდებულების აღებას, რომელიც აღნიშნულ შესაძლებლობას აფერხებს. აღნიშნული უფლება ასევე მოიცავს საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერებას, რათა ყველა მოსწავლეს დაამყაროს კომუნიკაცია; ყურადღებას ამახვილებს სრულ

² მუხლი 1, პუნქტი 2, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენცია

და ეფექტურ მონაწილეობაზე, ხელმისაწვდომობაზე, ყველა მოსწავლის დასწრებასა და აკადემიურ მოსწრებაზე. ეს განსაკუთრებით ეხებათ მათ, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო გარიყულები არიან ან მარგინალიზაციის საფრთხე ემუქრებათ. ინკლუზია გულისხმობს მაღალი ხარისხის ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და პროგრესს დისკრიმინაციის გარეშე. მისი მიზანია თემებს, სისტემებსა და სრულყოფილებს დისკრიმინაციასთან, მათ შორის მავნე სტერეოტიპებთან ბრძოლაში და მრავალფეროვნების აღიარებაში გაუწიოს დახმარება, ხელი შეუწყოს ჩართულობას და სწავლისა და თანამონაწილეობის დამაბრკოლებელი ბარიერების გადალახვას ყველასათვის, შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირების კეთილდღეობასა და წარმატებაზე ყურადღების გამახვილებით. ინკლუზიური განათლების უფლება საჭიროებს საგანმანათლებლო სისტემების ღრმა ტრანსფორმაციას საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე და მექანიზმებს განათლების დაფინანსების, ადმინისტრირების, შემუშავების, მიწოდებისა და მონიტორინგისათვის.

10 ინკლუზიური განათლება ნიშნავს:

- a) ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას ყველა მოსწავლისათვის. აღსანიშნავია, რომ განათლება თითოეული მოსწავლის უფლებაა და არა მშობლის ან მზრუნველის - ბავშვების შემთხვევაში. მშობლის მოვალეობები ამ მხრივ ექვემდებარება ბავშვის უფლებებს.
- b) პრინციპს, რომელიც აფასებს სტუდენტების კეთილდღეობას, პატივს სცემს მათ თანდაყოლილ ღირსებასა და ავტონომიას, აღიარებს ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და საზოგადოებაში ეფექტურად მონაწილეობისა და წვლილის შეტანის შესაძლებლობას.
- c) სხვა ადამიანის უფლებების განხორციელების საშუალებას. ინკლუზიური განათლება არის ძირითადი საშუალება, რომლითაც შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ თავი დაადნონ სიღარიბეს, მოიპოვონ შესაძლებლობები თავიანთ საზოგადოებაში სრულფასოვნად მონაწილეობისათვის და დაცული იქნან ექსპლუატაციისაგან.³ ინკლუზიური განათლება, აგრეთვე, ძირითად საშუალებას წარმოადგენს ინკლუზიური საზოგადოების შესაქმნელად.
- d) განათლების უფლების შემათავსებელი ბარიერების აღკვეთის განგრძობადი და პროაქტიული ძალისხმევისა და ჩვეულებრივი

³ CESCR E/C.12/1999/10

სკოლების ყველა სტუდენტისათვის მისადაგებისა და ეფექტური ჩართვისთვის კულტურაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში განხორციელებული ცვლილებების შედეგი.

11 კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს გარიყვას, სეგრეგაციას, ინტეგრაციასა და ინკლუზიას შორის არსებული განსხვავებების აღიარების მნიშვნელობას. გარიყვა ხდება მაშინ, როდესაც სტუდენტს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით წართმეული აქვს განათლებაზე ნებისმიერი ფორმით ხელმისაწვდომობა. სეგრეგაცია ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის განათლების ცალკე გარემოში უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის კონკრეტულ ან სხვადასხვა დარღვევაზე პასუხად, შეზღუდული შესაძლებლობების არმქონე სტუდენტებისაგან იზოლირებულად. ინტეგრაცია არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩვეულებრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განთავსების პროცესი, იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მათი ადაპტაცია ამ დაწესებულებების სტანდარტული მოთხოვნების შესაბამისად.⁴ ინკლუზია გულისხმობს სისტემური რეფორმის პროცესს, რაც ითვალისწინებს ცვლილებებსა და შესწორებებს განათლებაში: შინაარსში, სწავლების მეთოდებში, მიდგომებში, სტრუქტურებსა და სტრატეგიებში, ბარიერების დაძლევის მიზნით, ყველა შესაბამისი ასაკის სტუდენტებისათვის თანაბარი და მონაწილეობითი ისეთი სასწავლო გამოცდილებისა და გარემოს უზრუნველსაყოფად, რომელიც მათ მოთხოვნებსა და პრეფერენციებს ყველაზე უკეთ შეესაბამება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ჩვეულებრივ საკლასო ოთახში განთავსება შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებების გარეშე - მაგ. ორგანიზაციაში, კურიკულუმში, სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებში, ინკლუზიას არ წარმოადგენს. ამასთან, ინტეგრაცია ავტომატურად არ იძლევა სეგრეგაციიდან ინკლუზიამდე გადასვლის გარანტიას.

12 ინკლუზიური განათლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია:

- a) მთლიანი სისტემის მიდგომა: განათლების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ყველა რესურსის ინვესტირება ინკლუზიური განათლების წინსვლაში, საჭირო ცვლილებების ინიცირებასა და დანერგვაში ინსტიტუციურ კულტურაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში.
- b) მთლიანი საგანმანათლებლო გარემო: მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მონდომებით უხელმძღვანელონ

⁴ A/HRC/25/29, პუნქტი 4, და UNICEF, *The Right of Children with Disabilities to Education: A Right-Based Approach to Inclusive Education* (Geneva, 2012).

კულტურაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში ცვლილებების ინიცირებისა და დანერგვის პროცესს ყველა დონეზე ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით: სწავლება და ურთიერთობები საკლასო ოთახში, სასკოლო ექსკურსიები, ბიუჯეტის ასიგნებები და ნებისმიერი სახის ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე მოსწავლეების მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ თემთან ან ფართო საზოგადოებასთან.

- c) პერსონალური მიდგომა: აღიარება იმისა, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია სწავლა; ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის მაღალი მოლოდინის შექმნა. ინკლუზიური განათლება მოსწავლეებს სთავაზობს მოქნილ კურიკულუმს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, რომლებიც ადაპტირებულია სხვადასხვა სიძლიერეზე, მოთხოვნებსა და სწავლის სტილზე. აღნიშნული მიდგომა ნიშნავს მხარდაჭერისა და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფასა და ნაადრევ ინტერვენციას, რათა მოსწავლეებმა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება შეძლონ. სასწავლო მოქმედებების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს, ნაცვლად შინაარსისა. აღნიშნული მიდგომის მიზანია საგანმანათლებლო გარემოში სეგრეგაციის აღკვეთა ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოში ინკლუზიური საკლასო სწავლებითა და შესაბამისი მხარდაჭერით. განათლების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს პერსონალიზებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს და არ უნდა მოელოდეს, რომ სტუდენტი თავად მოერგება სისტემას.
- d) მასწავლებლების მხარდაჭერა: განათლებისა და ტრენინგის უზრუნველყოფა ყველა მასწავლებლისა და სხვა პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მასწავლებლებისათვის, რაც მათ ინკლუზიური სწავლების გარემოს შესაბამის ძირითად ღირებულებებსა და კომპეტენციებს შესძენს. ინკლუზიური კულტურა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ და მხარდამჭერ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას, ინტერაქციასა და პრობლემების ერთობლივად გადაჭრას.
- e) მრავალფეროვნების პატივისცემა და დაფასება: საგანმანათლებლო სისტემის ნებისმიერი წევრი თანაბრად მისაღებია; პატივს სცემენ

მრავალფეროვნებას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, ლინგვისტური კულტურის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული, ეთნიკური, ადგილობრივი თუ სოციალური წარმომავლობის, ქონების, დაბადების, ასაკისა თუ სხვა სატატუსის შესაბამისად. ყველა სტუდენტმა უნდა იგრძნოს რომ აფასებენ, პატივს სცემენ, უსმენენ და ჩართულები არიან. არსებობს ეფექტური ღონისძიებები შეურაცხყოფისა და ბულინგის თავიდან ასაცილებლად. ინკლუზია სტუდენტების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას გულისხმობს.

- f) მოსახერხებელი სასწავლო გარემო: ინკლუზიურმა სასწავლო გარემომ უნდა შექმნას ხელმისაწვდომი გარემო, სადაც ყველა თავს გრძნობს უსაფრთხოდ, გრძნობს მხარდაჭერას, სტიმულს და შეუძლია საკუთარი თავის გამოხატვა; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტების ჩართვას სკოლაში პოზიტიური გარემოს შექმნაში და აღიარებულია თანატოლთა ჯგუფების მნიშვნელობა სწავლაში, პოზიტიური ურთიერთობების შექმნაში, მეგობრობასა და მიმღებლობაში.
- g) ეფექტური გადასვლა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები იღებენ საჭირო მხარდაჭერას სკოლის ეტაპიდან პროფესიული ან უმაღლესი სასწავლებლის ეტაპამდე, ხოლო საბოლოოდ, დასაქმების ეტაპამდე ეფექტურად გადასასვლელად. მოსწავლეებს უვითარდებათ შესაძლებლობები და თავდაჯერებულობა, ხოლო შეფასებისა და გამოცდების პროცესში უზრუნველყოფილნი არიან გონივრული მისადაგებითა და თანასწორობით; მათი შესაძლებლობებისა და მიღწევების სერტიფიცირება ხდება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.
- h) პარტნიორობის აღიარება: მასწავლებელთა ასოციაციების, სტუდენტთა ასოციაციებისა და ფედერაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების, სკოლის გამგეობის, მშობელ-მასწავლებელთა ასოციაციებისა და სკოლაში ფუნქციონირებადი სხვა მხარდამჭერი ჯგუფების (როგორც ფორმალურის, ისე არაფორმალურის) ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მშობლების/მზრუნველებისა და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობის დაფასება, რამეთუ მათ გააჩნიათ ძალა და რესურსები წვლილის შესატანად. აღიარება იმისა, რომ სასწავლო გარემოსა და ფართო საზოგადოებას შორის კავშირი ინკლუზიური საზოგადოებისაკენ მიმავალ გზას წარმოადგენს.

- i) მონიტორინგი: ინკლუზიური განათლება წარმოადგენს განგრძობად პროცესს, რის გამოც საჭიროა მისი რეგულარული მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მოხდეს სეგრეგაცია ან ინტეგრაცია ფორმალურად ან არათორმალურად. მონიტორინგი, კონვენციის 33-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობით უნდა ხორციელდებოდეს, მათ შორის ბავშვებისა და ინტენსიური მხარდაჭერის მოთხოვნების მქონე პირების ჩართულობით, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებისა და მზრუნველების მონაწილეობით. საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის ინკლუზიური ინდიკატორების შემუშავება და გამოყენება “2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის” შესაბამისად.

13 UNESCO-ს კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის შესახებ, კერძოდ კი მისი 1-ლი პუნქტი ადასტურებს, რომ განათლების უფლება უზრუნველყოფილი უნდა იქნას დისკრიმინაციის გარეშე, შესაძლებლობის თანასწორობის საფუძველზე. სახელმწიფო მხარეებმა უნდა აკრძალონ ყველა სახის დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყონ თანასწორი და ეფექტური დაცვა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის საფუძველის მიუხედავად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შესაძლოა განიცადონ ინტერსექციური დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის, გენდერის, რელიგიის, სამართლებრივი სტატუსის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციისა და ენის საფუძველზე. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მშობლებმა, და-ძმებმა და სხვა ნათესავებმა შესაძლოა განიცადონ დისკრიმინაცია ასოციაციით შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ყველა სახის დისკრიმინაციასთან საბრძოლველი ღონისძიებებია: სამართლებრივი, ფიზიკური, საკომუნიკაციო და ენობრივი, სოციალური, ფინანსური და დამოკიდებულებითი ბარიერების იდენტიფიცირება და აღკვეთა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებაში. დისკრიმინაციის აკრძალვის უფლება მოიცავს სეგრეგაციისაგან დაცვის უფლებას და გონივრული მისადაგების უფლებას და აღქმული უნდა იქნას ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოსა და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის მოვალეობის კონტექსტში.

14 შეიარაღებული კონფლიქტი, ჰუმანიტარული და ბუნებრივი კატასტროფები არაპროპორციულ გავლენას ახდენს ინკლუზიური განათლების უფლებაზე.

სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ინკლუზიური “კატასტროფის რისკის შემცირების” სტრატეგიები, რაც უზრუნველყოფს სკოლების სრულფასოვან უსაფრთხოებასა და უვნებლობას საგანგებო სიტუაციების დროს შემზღვეული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ასეთ კონტექსტში არსებული დროებითი სასწავლო გარემო უნდა უზრუნველყოფდეს შემზღვეული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით კი ბავშვების განათლების უფლებას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. აღნიშნული მოიცავს ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო მასალებს, სკოლის შენობებს, ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და სმენის არმქონე მოსწავლეებისათვის ადგილობრივი უესტების ენაზე სწავლის ხელმისაწვდომობას. მე-11 მუხლის შესაბამისად და აღნიშნულ გარემოში სექსუალური ძალადობის მაღალი საფრთხის გათვალისწინებით, საჭიროა გარკვეული ზომების მიღება, რათა სასწავლო გარემო შემზღვეული შესაძლებლობის მქონე გოგონებისა და ქალებისათვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი იყოს. შემზღვეული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს არ უნდა ეთქვათ უარი საგანმანათლებლო დანესებულების ხელმისაწვდომობაზე იმ მიზეზით, რომ საგანგებო სიტუაციების დროს მათი ევაკუაცია შეუძლებელია; არამედ, ისინი გონივრული მისადაგების პრინციპის მიხედვით უნდა იქნან უზრუნველყოფილნი.

15 24-ე მუხლის 1(ა) პუნქტი ადასტურებს განათლების მიზნებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის და გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის შესაბამისად და აცხადებს, რომ განათლება უნდა ემსახუროდეს პიროვნების პოტენციალის სრულ გამოვლენასა და ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ფუნდამენტური თავისუფლებებისა და ადამიანური მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ განათლება შეესაბამება “საერთაშორისო პაქტის” მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც განმარტებულია “საყოველთაო განათლების შესახებ მსოფლიო დეკლარაციის” (ჯომტენი, ტაილანდი 1990წ.) (მუხლი 1), ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის (მუხლი 29 (1)), სამოქმედო პროგრამის შესახებ ვენის დეკლარაციის (ნაწილი 1, პუნქტი 33 და ნაწილი II, პუნქტი 80), და “გაეროს ათწლეულის სამოქმედო გეგმა: განათლება ადამიანის უფლებების სფეროში” (პუნქტი 2) შესაბამისად. აღნიშნული ასევე მოიცავს დამატებით ელემენტებს - ისეთს, როგორცაა გენდერულ თანასწორობაზე მითითება და გარემოს პატივისცემა.⁵ განათლების უფლება მოიცავს როგორც ხელმისაწვდომობას, ისე შინაარსს, და ფასეულობების ფართო სპექტრისკენ უნდა

⁵ CESCR E/C.12/1999/10

იყოს მიმართული, რომელთა შორისაა ურთიერთგაგება და ტოლერანტობა.⁶ ინკლუზიური განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ურთიერთპატივისცემისა და დაფასების ხელშეწყობას ყველა ადამიანს შორის და ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც სწავლისადმი მიდგომა, საგანმანათლებლო დაწესებულების კულტურა და თავად კურიკულუმი პატივს სცემს მრავალფეროვნებას.

16 24-ე მუხლის 1(ბ) პუნქტის თანახმად, განათლება უნდა ემსახურებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებისა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მიზანს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება ხშირად ფოკუსირებას ახდენს დეფიციტურ მიდგომაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის რეალურ ან აღქმულ დარღვევაზე, რის გამოც შესაძლებლობების შეზღუდვა ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალის წინასწარ განსაზღვრული და ნეგატიური აღქმების შესაბამისად. სახელმწიფო მხარეებმა მხარი უნდა დაუჭიროონ ისეთი შესაძლებლობების შექმნას, რომელიც განავითარებს თითოეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უნიკალურ უპირატესობებსა და ნიჭს.

17 24-ე მუხლის 1(გ) პუნქტის შესაბამისად, განათლება უნდა ემსახურებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფალ საზოგადოებაში სრულყოფილი მონაწილეობის მიზანს. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 23-ე მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით, საჭიროა დახმარების უზრუნველყოფა, რათა ბავშვს ჰქონდეს *“ეფექტური შესაძლებლობა, რომ მან ისარგებლოს განათლებით ... რაც ბავშვს მაქსიმალურად სრულად ჩართავს სოციალურ ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს მისი პიროვნების განვითარებას.”* სახელმწიფო მხარეებმა უნდა აღიარონ, რომ ინდივიდუალური მხარდაჭერა და გონივრული მისადაგება პრიორიტეტული საკითხებია და სავალდებულო განათლების ყველა დონეზე უფასოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

18 მე-2(ა) პუნქტი კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვას საერთო განათლების სისტემიდან, მათ შორის ნებისმიერ საკანონმდებლო ან მარეგულირებელ დებულებებს, რომელიც ზღუდავს მათ

⁶ ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) ზოგადი კომენტარი No 1, განათლების მიზნები, CRC/GC2001/1

ჩართულობას ჯანმრთელობის დარღვევის ან დარღვევის “ხარისხის” გამო, რითაც მათი მონაწილეობა დამოკიდებული ხდება “პიროვნების პოტენციალის ხარისხზე”, ან არაპროპორციული ან გაუმართლებელი ტვირთის მტკიცებას გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის მოვალეობის თავიდან აცილების მიზნით. ზოგადი განათლება გულისხმობს ყველა ჩვეულებრივ სასწავლო გარემოსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას. პირდაპირი გარიყვა გულისხმობს კონკრეტული სტუდენტების კატეგორიზაციას პირებად, რომლებიც “განათლებას არ ექვემდებარებიან”, რის გამოც მათ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლება არ აქვთ. არაპირდაპირი გარიყვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საერთო მისაღები გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა, გონივრული მისადაგებისა და მხარდაჭერის გარეშე. მე-4(ბ) მუხლის შესაბამისად, ყველა სახის კანონმდებლობა და პოლიტიკა უნდა გადაიხედოს და საჭიროების შემთხვევაში, გაუქმდეს ან შესწორებები იქნას შეტანილი სისტემატურად და გარკვეული ვადების გათვალისწინებით, რათა არც ერთი კანონმდებლობა თუ პოლიტიკა არ ახდენდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციას და არღვევდეს 24-ე მუხლის მოთხოვნებს.

19 მე-2(ბ) პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათ საცხოვრებელ ადგილზე და სხვებთან თანასწორ პირობებში უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ინკლუზიურ, ხარისხიან და უფასო დაწყებით განათლებასა და საშუალო განათლებაზე. კომიტეტი ეყრდნობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კომიტეტის ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც აღნიშნული მოვალეობის შესასრულებლად საგანმანათლებლო სისტემას შემდეგი ოთხი ურთიერთდაკავშირებული თვისება უნდა გააჩნდეს⁷:

20 ხელმისაწვდომობა: საჯარო და კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტები და პროგრამები ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობითა და ხარისხით. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო ადგილების ფართო ხელმისაწვდომობა, ნებისმიერ დონეზე, მთლიან საზოგადოებაში.

21 ფიზიკური ხელმისაწვდომობა: კონვენციის მე-9 მუხლისა და კომიტეტის მე-2 ზოგადი კომენტარის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებები და პროგრამები ყველასათვის უნდა იყოს ფიზიკურად ხელმისაწვდომი, დისკრიმინაციის გარეშე. განათლების მთლიანი სისტემა, მათ შორის შენობები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს ამბიენტურ ან სიხშირის

⁷ CESCR E/C.12/1999/10

მოდულაციის დამხმარე სისტემებს, კურიკულუმს, საგანმანათლებლო მასალებს, სწავლის მეთოდებს, შეფასებას და ენასა და მხარდაჭერ სერვისებს, უნდა იყოს ფიზიკურად ხელმისაწვდომი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების გარემოს მონაცობა ხელს უნდა უწყობდეს ინკლუზიასა და განათლების პროცესში მათ თანასწორობას⁸ - მაგ., სკოლის ტრანსპორტი, რომელიც უნდა იყოს ინკლუზიური, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო; წყლისა და სანიტარული სისტემები, მათ შორის ჰიგიენური ობიექტები და ტუალეტები; სკოლის კაფეტერია და მისაღები. სახელმწიფო მხარეებმა უნდა იკისრონ უნივერსალური დიზაინის სწრაფად შემოღების ვალდებულება. მათ უნდა აკრძალონ და სანქციები შემოიღონ სამომავლოდ ისეთი საგანმანათლებლო დანესებულების მშენებლობისათვის, რომელიც არ არის ფიზიკურად ხელმისაწვდომი, შექმნან მონიტორინგის ეფექტური მექანიზმი და დაანესონ ვადები არსებული საგანმანათლებლო გარემოს ხელმისაწვდომ გარდაქმნისათვის. სახელმწიფო მხარეებმა უნდა იკისრონ საგანმანათლებლო გარემოში, საჭიროების შემთხვევაში, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულება. უნივერსალური დიზაინის მიდგომა არ გამოირიცხავს დამხმარე მონაცობილობების, აპლიკაციებისა და კომპიუტერული პროგრამების უზრუნველყოფას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის, რომელთაც აღნიშნული ესაჭიროებათ. ხელმისაწვდომობა დინამიური კონცეფციაა და მისი გამოყენება საჭიროებს მარეგულირებელ და ტექნიკურ სფეროებში შესწორებების პერიოდულად განხორციელებას. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად შექმნილი ინოვაციებისა და სწრაფად განვითარებადი ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა ყველა სტუდენტისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის.

22 კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომ ფორმატებში და ენებზე, მათ შორის უესტების ენაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობას. სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ ინვესტირება მეღნიით, ბრაილისა და ციტრულ ფორმატებში მასალების დროულად შესაქმნელად, მათ შორის ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების გზით. მათ აგრეთვე უნდა განიხილონ სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების შესაძლებლობა ბეჭდური მასალების ხელმისაწვდომ ფორმატებში და ენებზე გარდაქმნასთან დაკავშირებით, და ხელმისაწვდომობა განათლებასთან დაკავშირებული შესყიდვების უმნიშვნელოვანეს ასპექტად აქციონ. კომიტეტი მიუთითებს საერთაშორისო შეთანხმების, “მარაკუმის შეთანხმება უსინათლო და მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისათვის და ბეჭდვითი მასალის წაკითხვის

⁸ CRPD ზოგადი კომენტარი 2, მუხლი 9, Accessibility, CRPD/C/GC/2

უნარის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირებისათვის ბეჭდვით გამოცემებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის შესახებ”, დაუყოვნებლივ რატიფიცირებისა და განხორციელების მნიშვნელობაზე.

23 ხელმისაწვდომობა მოითხოვს განათლების ყველა დონეზე ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის. გონივრული მისადაგება არ უნდა აწესებდეს დამატებით გადასახადს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის. სავალდებულო, ხარისხიანი, უფასო და ხელმისაწვდომი დაწყებითი განათლება პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. “2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის” შესაბამისად, სახელმწიფო მხარეებმა თანდათან უნდა მიიღონ ზომები ყველა ბავშვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სრულიად უფასო, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი განათლების უზრუნველსაყოფად და უზრუნველყონ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალისა და მამაკაცის მიერ ხელმისაწვდომ და ხარისხიან ტექნიკურ, პროფესიულ და უმაღლეს, მათ შორის საუნივერსიტეტო, და უწყვეტ განათლებაზე წვდომა. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელმისაწვდომობა განათლებაზე როგორც საჯარო, ისე კერძო აკადემიურ დაწესებულებებში, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე.

24 მიმღებლობა წარმოადგენს განათლებასთან დაკავშირებული ყველა სახის ობიექტის, საქონლისა და სერვისების შექმნისა და განხორციელების ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მოთხოვნების, კულტურების, პოზიციებისა და ენების სრულად გათვალისწინებითა და პატივისცემით. განათლების ფორმა და არსებითი მხარე საყოველთაოდ მისაღები უნდა იყოს. სახელმწიფო მხარეებმა პოზიტიური ქმედებების განხორციელებით უნდა უზრუნველყონ საყოველთაო ხარისხიანი განათლება.⁹ ინკლუზია და ხარისხი ნაცვალგებითია: ინკლუზიურმა მიდგომამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს განათლების ხარისხში.

25 ადაპტირების შესაძლებლობა - კომიტეტი სახელმწიფო მხარეებს მოუწოდებს, გამოიყენონ “სწავლის უნივერსალური დიზაინის” (UDL) მიდგომა. UDL წარმოადგენს პრინციპებს, რომელიც მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისათვის უზრუნველყოფს სტრუქტურას ადაპტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად და ისეთი ინსტრუქციების შესამუშავებლად, რომელიც ყველა მოსწავლის განსხვავებულ საჭიროებებს აკმაყოფილებს. UDL აღიარებს,

⁹ CESCR E/C.12/1999/10

რომ თითოეულ სტუდენტს სწავლის უნიკალური მანერა გააჩნია და სწავლის მოქნილი საშუალებების შემუშავებას ითვალისწინებს. კერძოდ: ისეთი საკლასო გარემოს შექმნას, რომელიც ჩართულობას უწყობს ხელს; ყველა სტუდენტის მიმართ მაღალი მოლოდინის შექმნა და ამ მოლოდინის მისაღწევად მრავალგვარი საშუალებების უზრუნველყოფა; სწავლების შესახებ მასწავლებლების განსხვავებული აზროვნების ხელშეწყობა; საყოველთაო საგანმანათლებლო შედეგებზე ფოკუსირება, მათ შორის შემზღვევითი შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. კურიკულუმის შემუშავება, შექმნა და გამოყენება უნდა ხდებოდეს თითოეული სტუდენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათზე ადაპტირებისათვის, და ადეკვატურ საგანმანათლებლო რეაგირებას უნდა უზრუნველყოფდეს. საჭიროა სტანდარტული შეფასების ჩანაცვლება შეფასების მოქნილი და მრავალგვარი ფორმებით და ფართო მიზნებისკენ ინდივიდუალური პროგრესის აღიარებით, რომელშიც გათვალისწინებულია სწავლის ალტერნატიული გზები.

26 მე-2(ბ) პუნქტის თანახმად, შემზღვევითი შესაძლებლობის მქონე პირებმა უნდა შეძლონ თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე არსებულ დანაშაულებით და საშუალო განათლების დანაშაულებებში სიარული. მათ არ უნდა უწევდეთ სახლიდან მოშორებით სიარული. საგანმანათლებლო გარემო შემზღვევითი შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უსაფრთხო ხელმისაწვდომ ადგილას უნდა არსებობდეს, რაც მოიცავს უსაფრთხო და საიმედო ტრანსპორტს, ან ხელმისაწვდომი უნდა იყოს საინფორმაციო კომუნიკაციის ტექნოლოგიების საშუალებით. ამავდროულად, სახელმწიფო მხარეები არ უნდა ეყრდნობოდნენ მხოლოდ ტექნოლოგიას შემზღვევითი შესაძლებლობის მქონე სტუდენტების პირდაპირი ჩართულობისა და თავად საგანმანათლებლო გარემოში მასწავლებლებთან და სამაგალითო მოდელებთან ინტერაქციის ჩასანაცვლებლად. სასწავლო პროცესში სხვა სტუდენტებთან, მათ შორის შემზღვევითი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დაძმებთან ერთად აქტიური მონაწილეობა ინკლუზიური განათლების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

27 პუნქტი 2 (გ) სახელმწიფო მხარეებს აკისრებს ცალკეული სტუდენტებისათვის გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულებას, რათა მათ გააჩნდეთ განათლებაზე ხელმისაწვდომობა სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. “გონივრულობა” აღიქმება, როგორც შედეგი კონტექსტზე დამოკიდებული სატესტო მოქმედებისა, რომელიც მოიცავს მისადაგების ადეკვატურობისა და ეფექტურობის ანალიზს, და ასევე დისკრიმინაციის დასაძლევად გათვლილი მიზნისა. არაპროპორციული ტვირთის შეფასებისას ხდება რესურსების ხელმისაწვდომობისა

და ფინანსური შედეგების გათვალისწინება. გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულება ექვემდებარება აღსრულებას მოთხოვნის მომენტიდან.¹⁰ გონივრული მისადაგების ვალდებულების შემცველი პოლიტიკის მიღება უნდა მოხდეს ეროვნულ, ადგილობრივ და საგანმანათლებლო დაწესებულების დონეებზე და განათლების ყველა დონეზე. გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენების ხარისხი გათვალისწინებული უნდა იქნას ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის უზრუნველყოფის ზოგადი ვალდებულების ჭრილში, არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებითა და ახლის შექმნით. რესურსების ნაკლებობა და ფინანსური კრიზისის არგუმენტად დასახელება ინკლუზიური განათლების მისაღწევად პროგრესის არქონის გამართლების მიზნით 24-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენს.

28 კომიტეტი კიდევ ერთხელ იმეორებს ხელმისაწვდომობის ზოგად მოვალეობასა და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულებას შორის არსებულ განსხვავებას.¹¹ ხელმისაწვდომობას სარგებელი მოაქვს მოქალაქეთა ჯგუფებისათვის და ეფუძნება სტანდარტებს, რომელთა განხორციელებაც ხდება თანდათანობით. არაპროპორციულობისა და გაუმართლებელი ტვირთის არგუმენტი ვერ გამართლებს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობას. გონივრული მისადაგება უკავშირდება კონკრეტულ პიროვნებას და ხელმისაწვდომობის მოვალეობის დამატებით ვალდებულებას წარმოადგენს. პიროვნებას აქვს ლეგიტიმური უფლება, მოითხოვოს გონივრული მისადაგების ღონისძიება მაშინაც კი, თუ სახელმწიფო მხარემ შეასრულა მასზე დაკისრებული ხელმისაწვდომობის მოვალეობა.

29 პროპორციულობის განსაზღვრება დამოკიდებულია არსებულ კონტექსტზე. ინდივიდუალური მოდიფიკაციების ხელმისაწვდომობა განხილული უნდა იქნას საგანმანათლებლო სისტემაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების ფართო სურათის გათვალისწინებით, და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოცემულ აკადემიურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი რესურსებით. სისტემის ფარგლებში რესურსების გადაცემის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს. არ არსებობს გონივრული მისადაგების ერთი კონკრეტული ფორმულა, რომელიც ყოველ სიტუაციას ერგება, მეტიც, სხვადასხვა სტუდენტები, რომელთაც ჯანმრთელობის ერთი და იგივე დარღვევა აღენიშნებათ, შესაძლოა განსხვავებულ მორგებას/მოდიფიკაციებს საჭიროებდნენ. მისადაგება შესაძლოა მოიცავდეს გაკვეთილის ჩატარების ადგილის შეცვლას; საკლასო ოთახში კომუნიკაციის

¹⁰ CRPD ზოგადი კომენტარი 2, მუხლი 9, Accessibility, CRPD/C/GC/2

¹¹ CRPD/C/GC/2

სხვადასხვა ფორმების უზრუნველყოფას; ბეჭდური მასალის გადიდებას; მასალებისა და/ან საგნების უესტების ენაზე ხელმისაწვდომობას; დამხმარე მასალების ალტერნატიულ ფორმატში შექმნას; სტუდენტებისათვის დამხმარის უზრუნველყოფა, რომელიც გაკვეთილის ჩანაწერს გააკეთებს; თარჯიმნის ხელმისაწვდომობას ან სტუდენტებისათვის სწავლასა და სიტუაციის შეფასებაში დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის მიცემას. განხილული უნდა იქნას არა-მატერიალური მოდიფიკაციების უზრუნველყოფის შესაძლებლობა - ისეთის, როგორიცაა, მაგალითად სტუდენტისათვის მეტი დროის მიცემა; ხმაურის ფონის შემცირება; სენსიტიურობა სენსორული გადატვირთვის მიმართ; შეფასების ალტერნატიული მეთოდები ან კურიკულუმის რაიმე ელემენტის ჩანაცვლება ალტერნატიული ელემენტით. განათლების ორგანოებსა და პროვაიდერებს, აკადემიურ დაწესებულებებს, შებენიანი შესაძლებლობის მქონე სტუდენტებსა და სტუდენტის ასაკისა და უნარის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის მშობელს/მზრუნველს და/ან ოჯახის წევრებს შორის დისკუსიები უნდა ხორციელდებოდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისადაგება აკმაყოფილებს სტუდენტების მოთხოვნებს, ნებას, პრეფერენციებსა და არჩევანს და განხორციელებადია დაწესებულების (პროვაიდერის) მიერ. გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა არ უნდა იყოს დამოკიდებული ჯანმრთელობის დარღვევის შესახებ სამედიცინო დიაგნოზზე; არამედ, უნდა ეფუძნებოდეს განათლების დამაბრკოლებელი სოციალური ბარიერების შეფასებას.

30 გონივრულ მისადაგებაზე უარი წარმოადგენს დისკრიმინაციას, ხოლო გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის მოვალეობა ექვემდებარება დაუყოვნებლივ შესრულებას და არა პროგრესულ რეალიზებას. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ დამოუკიდებელი სისტემების არსებობა, მოდიფიკაციების/მორგებების შესაბამისობისა და ეფექტურობის მონიტორინგის მიზნით, და უსაფრთხო, დროული და ხელმისაწვდომი მექანიზმები დარღვეული უფლების აღსადგენად იმ შემთხვევაში, თუ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ არ მოხდა მათი ადექვატურად უზრუნველყოფა, ან განიცადეს დისკრიმინაცია. დარღვეული უფლების აღდგენის პროცესში მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის მსხვერპლთა ვიქტიმიზაციისაგან დაცვის ზომების არსებობა.

31 მე-2(დ) პუნქტი ადასტურებს, რომ შებენიანი შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს აქვთ უფლება, ისარგებლონ მათი ეფექტური განათლების ხელშეწყობისათვის და მათი პოტენციალის სხვებთან თანასწორობის საფუძველზე განხორციელებისათვის აუცილებელი თანადგომით. მხარდაჭერა, განათლების სისტემაში სერვისებისა და ობიექტების ზოგადი ხელმისაწვდომობის

თვალსაზრისით, უნდა უზრუნველყოფდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მიერ თავიანთი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებას. მათ შორის, მაგალითად, საკმარისად მომზადებული და მხარდაჭერილი აკადემიური პერსონალის, სკოლის კონსულტანტების, ფსიქოლოგებისა და სხვა შესაბამისი ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების სპეციალისტების უზრუნველყოფა და აგრეთვე, სტიპენდიებსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა.

32 მე-2(ე) პუნქტი მოითხოვს ადექვატური, უწყვეტი და პერსონალიზირებული დახმარების პირდაპირ უზრუნველყოფას. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს ინდივიდუალიზირებული საგანმანათლებლო გეგმების უზრუნველყოფის საჭიროებას, რითაც შესაძლებელი იქნება კონკრეტული სტუდენტისათვის გონივრული მისადაგებისა და სპეციფიური დახმარების იდენტიფიცირება. მათ შორის დამხმარე საკომპენსაციო საშუალებების, ალტერნატიულ/ხელმისაწვდომ ფორმატებში კონკრეტული სასწავლო მასალების, კომუნიკაციის რეჟიმებისა და საშუალებების, და საკომუნიკაციო დამხმარე საშუალებებისა და დამხმარე და საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფა. მხარდაჭერა შესაძლოა არეთვე მოიცავდეს კვალიფიციურ დამხმარეს სწავლის პროცესში დახმარების გასაწევად, რომელიც იმუშავებს საზიაროდ ან ერთი ერთზე ფორმატში, რაც დამოკიდებულია სტუდენტის მოთხოვნებზე. ინდივიდუალიზირებული განათლების გეგმები უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის სეგრეგირებული გარემოდან და განათლების სხვადასხვა დონეებს შორის გადასვლის საკითხს. საჭიროა ამ გეგმების ეფექტურობის მონიტორინგი და შეფასება შესაბამისი მოსწავლის მონაწილეობით. პერსონალიზირებული დახმარების ბუნება უნდა განისაზღვროს სტუდენტთან თანამშრომლობით და საჭიროების შემთხვევაში, მშობელთან ან მზრუნველთან/მესამე მხარესთან ერთად. მოსწავლეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს დაცვის მექანიზმზე იმ შემთხვევაში, თუ მხარდაჭერა არ არის ხელმისაწვდომი ან ადექვატური.

33 მხარდაჭერის ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს ინკლუზიის მიზანს. ამრიგად, ეს ღონისძიებები უნდა ემსახურებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის საკლასო ოთახში და სკოლის გარეთ საქმიანობაში თავიანთ თანატოლებთან ერთად მონაწილეობის შესაძლებლობების განმტკიცების მიზანს და არა მათ მარგინალიზებას.

34 არაერთი სახელმწიფო მხარე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ 24-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოყვანილ მოთხოვნებს ვერ ასრულებს, განსაკუთრებით სპექტრული აუტიზმის მქონე პირების, კომუნიკაციის დარღვევისა და შეზღუდული სენსორული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რათა მათ

შეძლონ ცხოვრებისეული, ენობრივი და სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავება განათლებაში და თავიანთ ადგილობრივი თემის ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად.

- a) უსინათლო და ნაწილობრივი მხედველობის მქონე სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იქნან ბრაილის, ალტერნატიული შრიფტის, აუგმენტატიური და ალტერნატიული რეჟიმების, კომუნიკაციის საშუალებებისა და ფორმატების და აგრეთვე, ორიენტაციისა და მობილურობის უნარ-ჩვევების შესწავლის შესაძლებლობებით. მნიშვნელოვანია სწავლის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამის ტექნოლოგიაზე და ალტერნატიული კომუნიკაციის სისტემებზე ხელმისაწვდომობაში ინვესტირების მხარდაჭერა. საჭიროა თანატოლთა დახმარებისა და მენტორინგის სქემების ინიცირება და ხელშეწყობა.
- b) სმენის არ მქონე და სმენის დაქვეითების მქონე სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იქნან უესტების ენის შესწავლის შესაძლებლობებითა და სმენის არ მქონე ადამიანების ლინგვისტური იდენტობის აღიარებისა და ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებებით. კომიტეტი სახელმწიფო მხარეების ყურადღებას ამახვილებს განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ UNESCO-ს კონვენციაზე, რომელიც ადგენს ბავშვების უფლებას, ასწავლონ საკუთარი ენა, და სახელმწიფო მხარეებს შეახსენებს, რომ 30(4) მუხლის მოთხოვნების თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უფლება აქვთ, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მოხდეს მათი კონკრეტული კულტურული და ლინგვისტური იდენტობის აღიარება და მხარდაჭერა, მათ შორის უესტების ენისა და სმენის არ მქონე ადამიანების კულტურის. ამასთან, სმენის დაქვეითების მქონე სტუდენტებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მეტყველების თერაპიის ხარისხიან სერვისებზე, ინდუქციური მარყუჟის ტექნოლოგიასა და სუბტიტრებზე.
- c) უსინათლო, სმენის არ მქონე ან უსინათლო-სმენის არმქონე სტუდენტები უზრუნველყოფილი უნდა იქნან განათლებით, რომელიც მოცემული პიროვნებისათვის ყველაზე შესაფერის ენაზე, რეჟიმში და კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით წარიმართება, ისეთ გარემოში, რომელიც ახდენს პიროვნული, აკადემიური და სოციალური განვითარების მაქსიმალიზებას როგორც სკოლის ფორმალურ გარემოში, ისე მის გარეთ. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღნიშნული ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად

სახელმწიფო მხარეებმა საჭირო მხარდაჭერა უნდა უზრუნველყონ, მათ შორის რესურსებისა და დამხმარე ტექნოლოგიის საშუალებით და ორიენტაციისა და მობილურობის უნარ-ჩვევების უზრუნველყოფით.

- d) კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იქნან საკუთარი თავის გამოხატვისა და ალტერნატიული ან აუგმენტატიური კომუნიკაციის გამოყენებით სწავლის შესაძლებლობით. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს, მათ შორის, უესტების ენის უზრუნველყოფას, კომუნიკაციის დაბალ/მაღალტექნოლოგიური დამხმარე საშუალებების (ისეთების, როგორცაა მეტყველების მწარმოებელი პლანშეტები), ხმის მწარმოებელი საკომუნიკაციო დამხმარე საშუალებები (VOCAS) ან საკომუნიკაციო წიგნები. სახელმწიფო მხარეებმა ინვესტირება უნდა მოახდინონ ცოდნისა და გამოცდილების, ტექნოლოგიისა და სერვისების განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი ტექნოლოგიისა და კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემების ხელმისაწვდომობას სწავლის ხელშესაწყობად.
- e) სოციალური კომუნიკაციის სირთულის მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს საკლასო ოთახის მოწყობის ადაპტაციით, მათ შორის წყვილებში მუშაობის, თანატოლების დახმარებით სწავლის, მასწავლებელთან ახლოს დასმითა და სტრუქტურული და პროგნოზირებადი გარემოს შექმნით.
- f) ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილი უნდა იქნან სასწავლისა და სწავლებისათვის განკუთვნილი კონკრეტული, თვალსაჩინო/ვიზუალური და ადვილად წასაკითხი მასალებით, უსაფრთხო, მშვიდ და სტრუქტურულ სასწავლო გარემოში იმ უნარებზე ფოკუსირებით, რომელიც სტუდენტს ყველაზე უკეთ მოამზადებს დამოუკიდებლად ცხოვრებისა და პროფესიული სიტუაციებისათვის. სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ ინვესტიცია ინკლუზიურ და ინტერაქტიულ საკლასო ოთახებში, ალტერნატიული ინსტრუქციული სტრატეგიებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით.

35 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფო მხარეებს ავალდებულებს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა დაიქირავონ ისეთი ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების ისეთი კადრი, რომელთაც გააჩნიათ ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში ეფექტურად

მუშაობის უნარ-ჩვევები და კვალიფიცირებულები არიან უესტების ენაში და/ან ბრაილის შრიტში. სკოლის კვალიფიციური და ერთგული თანამშრომლების ადექვატური ოდენობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს ინკლუზიური განათლების შემოღებისა და მდგრადობისათვის. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ნათელი წარმოდგენის არ ქონა და შესაბამის უნარების ნაკლებობა ინკლუზიის შემაფერხებელ მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ყველა მასწავლებლის მომზადება ინკლუზიური განათლების სფეროში, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელის საფუძველზე.

36 სახელმწიფო მხარეებმა უნდა მოახდინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მასწავლებლების დაქირავებასა და მათ უწყვეტ განათლებაში ინვესტირება და ამ პროცესების მხარდაჭერა. აღნიშნული გულისხმობს ნებისმიერი საკანონმდებლო და პოლიტიკური ბარიერების აღმოფხვრას, რომელიც კანდიდატებისათვის კონკრეტულ სამედიცინო კრიტერიუმებს აწესებს, და მოითხოვს, მათი მასწავლებლად ჩართვისათვის გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებას. მათი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოფნა ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარ უფლებებს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. სასწავლო გარემოს უნიკალურ ცოდნას, გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს შემატებს, ხელს შეუწყობს ბარიერების აღმოფხვრას და ითამაშებს სამაგალითო მოდელის როლს.

37 24-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ზოგადი უმაღლესი განათლების, პროფესიული მომზადების, ზრდასრულთა განათლებისა და უწყვეტი სწავლების ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე. საჭიროა დამოკიდებულებითი, ფიზიკური, ლინგვისტური, საკომუნიკაციო, ფინანსური, სამართლებრივი და განათლების დამაბრკოლებელი სხვა ბარიერების იდენტიფიცირება ყველა დონეზე და აღმოფხვრა, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გონივრული მისადაგება. სახელმწიფო მხარეებმა უნდა განიხილონ პოზიტიური ქმედების ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა უმაღლესი განათლების სფეროში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასარგებლოდ.

3 სახელმწიფო მხარეების მოვალეობები

38 სახელმწიფო მხარეებმა ინკლუზიური განათლების თითოეულ ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებას - ხელმისაწვდომობა, ფიზიკური მისაწვდომობა, მიმღებლობა და ადაპტირებულობა - პატივი უნდა სცენ, დაიცვან და შეასრულონ. პატივისცემის მოვალეობა ნიშნავს, რომ სახელმწიფო მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ღონისძიებებისაგან, რომელიც ხელს უშლის ინკლუზიური განათლების უფლებით სარგებლობას - მაგ. კანონმდებლობა, რომელიც ზოგიერთ შემზღვევით შესაძლებლობის მქონე ბავშვს განათლების სფეროდან გამოარიცხავს, ან ხელმისაწვდომობასა თუ გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმისგან. დაცვის ვალდებულება მოითხოვს გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას მესამე მხარის მიერ აღნიშნულ უფლებაში ჩარევის თავიდან ასაცილებლად - მაგ. მშობლები უარს აცხადებენ თავიანთი შემზღვევით შესაძლებლობის მქონე შვილი სკოლაში გაუშვან, ან კერძო დაწესებულებები უარს აცხადებენ მიიღონ შემზღვევით შესაძლებლობის მქონე პირები ჯანმრთელობის დარღვევის გამო. შესრულების მოვალეობა გულისხმობს ისეთი ღონისძიებების მიღებას, რომელიც შემზღვევით შესაძლებლობის მქონე პირებს შეაძლებინებს და დაეხმარება განათლების უფლებით სარგებლობაში - მაგ. საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობა და საგანმანათლებლო სისტემების სათანადოდ ადაპტირება რესურსებისა და სერვისების მხრივ.

39 4.2 მუხლი სახელმწიფო მხარეებს ავალდებულებს, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შემთხვევაში მიიღონ ზომები მის ხელთ არსებული საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ საერთაშორისო თანამშრომლობას ამ უფლებებით სრული სარგებლობის პროგრესული რეალიზების მიზნით. პროგრესული რეალიზება ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მხარეებს ეკისრებათ კონკრეტული და განგრძობადი მოვალეობა, “იმოქმედონ მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად”, 24-ე მუხლის სრულად რეალიზების მიზნით.¹² აღნიშნული არ არის თავსებადი განათლების ორი სახის სისტემის შენარჩუნებასთან: ძირითადი და სპეციალური/სეგრეგირებული განათლების სისტემები. პროგრესული რეალიზება ნაკითხული უნდა იქნას კონვენციის ძირითადი ამოცანის შესაბამისად, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო მხარეებისათვის მკაფიო მოვალეობების დანერგვაში მოცემული უფლებების სრულად განხორციელების კუთხით. ანალოგიურად, სახელმწიფო მხარეებისათვის რეკომენდირებულია მოახდინონ განათლების საბიუჯეტო ასიგნებების ხელახლა განსაზღვრა, მათ შორის საბიუჯეტო ტრანსფერების კუთხით, ინკლუზიური განათლების შექმნის მიზნით. ამ მხრივ,

¹² იხ. CESCR ზოგადი კომენტარი 3, პუნქტი 9, The nature of States parties' obligations (მუხლი 2, პუნქტი 1, of the Covenant), 1990.

ნებისმიერი მიზანმიმართულად რეტროგრესიული ღონისძიება არაპროპორციულად არ უნდა უმიზნებდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს განათლების ნებისმიერ დონეზე.¹³ არამედ, აღნიშნული ღონისძიებები უნდა წარმოადგენდეს დროებით ღონისძიებებს, რომელთა მოქმედებაც გარკვეული კრიზისული პერიოდით შემოიფარგლება და არის აუცილებელი და პროპორციული. ეს ღონისძიებები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და უთანასწორობების აღმოსაფხვრელად ყველა შესაძლო ზომას უნდა მოიცავდეს.¹⁴

40 პროგრესული რეალიზება არ ახდენს საზიანო გავლენას იმ მოვალეობებზე, რომლებიც დაუყოვნებლივ შესრულებას ექვემდებარება. CDESCR-ის ზოგადი კომენტარის თანახმად, სახელმწიფო მხარეებს ეკისრებათ “მინიმალური ძირითადი ვალდებულება უზრუნველყონ” განათლების უფლების დამახასიათებელი თითოეული ნიშან-თვისების “სულ მცირე, მინიმალური აუცილებელი ღონის დაკმაყოფილება”.¹⁵ ამრიგად, სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი ძირითადი უფლებები, რამაც დაუყოვნებელი შედეგი უნდა მოიტანოს:

- a) დისკრიმინაციის აკრძალვა განათლების ყველა ასპექტში დისკრიმინაციის საერთაშორისო დონეზე აკრძალული ყველა საფუძვლის ჩათვლით. სახელმწიფო მხარეებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვა განათლების სფეროდან და აღკვეთონ სტრუქტურული არახელსაყრელი პირობები ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ეფექტური მონაწილეობისა და თანასწორობის მიღწევის მიზნით. მათ დაუყოვნებლივ უნდა გადადგან ნაბიჯები დისკრიმინაციის ყველა სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სხვა ფორმის აღსაკვეთად, რაც აფერხებს ინკლუზიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას. პოზიტიური ქმედების ღონისძიებების განხორციელება არ წარმოადგენს დისკრიმინაციის აკრძალვის უფლების დარღვევას განათლების კუთხით იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იწვევს სხვადასხვა ჯგუფებისათვის უთანასწორო და განსხვავებული სტანდარტების დამკვიდრებას.

¹³ CDESCR, ზოგადი კომენტარი 3, სახელმწიფო მხარეების მოვალეობების ბუნება (კონვენციის მუხლი 2, პუნქტი 1), 1990.

¹⁴ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის თავმჯდომარის 2012 წლის 16 მაისით დათარიღებული წერილი “საერთაშორისო პაქტის” სახელმწიფო მხარეებს

¹⁵ CDESCR ზოგადი კომენტარი No. 3: სახელმწიფო მხარეების მოვალეობების ბუნება (კონვენციის მუხლი 2, პუნქტი 1), 1990.

- b) გონივრული მისადაგება იმისათვის, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვა განათლების სფეროდან. გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.
- c) სავალდებულო, უფასო დანყებითი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა. სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა აღნიშნული უფლების გარანტირების მიზნით ინკლუზიის საფუძველზე ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და ახალგაზრდისათვის. კომიტეტი სახელმწიფო მხარეებს მოუწოდებს, “ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის უზრუნველყონ, სულ მცირე, 12 წლიან უფასო, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ, ინკლუზიურ, თანასწორ და ხარისხიან დანყებით და საშუალო განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და დასრულების შესაძლებლობა, საიდანაც 9 წელი იქნება სავალდებულო; აგრეთვე, სკოლის გარეთ ბავშვებისა და ახალგაზრდისათვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა მოდალობის ფართო სპექტრის გამოყენებით”, განათლება 2030-ის სამოქმედო ჩარჩოს შესაბამისად.

სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ და განახორციელონ ეროვნული საგანმანათლებლო სტრატეგია, რომელიც მოიცავს ყველა მოსწავლისათვის განათლების უზრუნველყოფას ყველა დონეზე ინკლუზიისა და შესაძლებლობის თანასწორობის საფუძველზე. საგანმანათლებლო ამოცანები, რომლებიც 24-ე მუხლის 1-ელ პუნქტში არის მოყვანილი, სახელმწიფო მხარეებს ექვივალენტურ მოვალეობებს აკისრებს, რის გამოც ისინი ზემოთჩამოთვლილი უფლებების მსგავსად, დაუყონებლივ განხორციელებას ექვემდებარებიან.

41 საერთაშორისო თანამშრომლობას რაც შეეხება, SDG 4-ისა და განათლების 2030 სამოქმედო ჩარჩოს შესაბამისად, ყველა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ინკლუზიურ, თანასწორ და ხარისხიან განათლებას და საყოველთაო უწყვეტი განათლების შესაძლებლობებს უნდა უწყობდეს ხელს, მათ შორის: შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა, გაცვლა, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, კვლევა, ტექნიკური და ეკონომიკური დახმარება, და ხელმისაწვდომ და დამხმარე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. განათლებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემი და საერთაშორისო დახმარების ფარგლებში განეული ხარჯები დეტალურად უნდა

აღირიცხოს, ჯანმრთელობის დარღვევების მიხედვით. ინკლუზიური განათლების შესახებ საერთაშორისო საკოორდინაციო მექანიზმის შესაძლებლობის განხილვა, SDG 4-ის ამოქმედებისა და მტკიცებულებების შექმნის მიზნით, ხელს შეუწყობს პოლიტიკის დიალოგის გაუმჯობესებასა და მონიტორინგის პროგრესს.

4 კონვენციის სხვა დებულებებთან კავშირი

42 სახელმწიფო მხარეებმა უნდა აღიარონ, რომ ადამიანის უფლებები განუყოფელია და ურთიერთდამოკიდებული. განათლებას სხვა უფლებების სრული და ეფექტური რეალიზაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.¹⁶ ანალოგიურად, ინკლუზიური განათლების უფლების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული სხვა უფლებები განხორციელებულია. ინკლუზიურ განათლებას საფუძვლად უნდა დაედოს ინკლუზიური გარემოს შექმნა ფართო საზოგადოებრივ დონეზე. აღნიშნული საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელის მიღებას, სადაც აღიარებულია იმ საზოგადოებრივი ბარიერების აღმოფხვრის ვალდებულება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების გარიყვასა და მარგინალიზებას იწვევს და სადაც ასევე აღიარებულია ქვემოთ მოყვანილი უფლებების განხორციელების უზრუნველსაყოფად ზომების მიღებას.

43 მე-5 მუხლი იცავს ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობას კანონის წინაშე. სახელმწიფო მხარეებმა უნდა აკრძალონ შეზღუდულ შესაძლებლობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყონ ეფექტური და თანაბარი დაცვა დისკრიმინაციისაგან ამ უკანასკნელის საფუძველის მიუხედავად. სისტემური და სტრუქტურული დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით და “კანონით თანასწორად სარგებლობის” უზრუნველსაყოფად სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ პოზიტიური ქმედების ღონისძიებები - როგორიცაა, არქიტექტურული და საკომუნიკაციო ან სხვა ბარიერების აღმოფხვრა ზოგადი განათლების სისტემაში.

44 მე-6 მუხლი აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალი ფორმით დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და მათ მიერ ადამიანის უფლებებით და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით

¹⁶ იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 11 (1999) დაწყებითი განათლების შესახებ სამოქმედო გეგმა, და No. 13 (1999) განათლების უფლების შესახებ

თანასწორუფლებიანი სარგებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება. ინტერსეფექციური დისკრიმინაცია და გარიყვა მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების განათლების უფლების რეალიზებას. სახელმწიფო მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ბარიერების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, მათ შორის, inter alia, გენდერზე დაფუძნებული ძალადობა და ქალებისა და გოგონების განათლებისათვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭება, და შემოიღონ კონკრეტული ღონისძიებები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი განათლების უფლებას არ აფერხებს გენდერული და/ან შებლუდულ შესაძლებლობაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია, სტიგმა და ცრურწმენა. მავნე გენდერულ და/ან შებლუდული შესაძლებლობის სტერეოტიპებთან ბრძოლა უნდა განხორციელდეს სახელმძღვანელოებისა და კურიკულუმების საშუალებით. განათლება სასიცოცხლო როლს თამაშობს გენდერის იმ ტრადიციულ ცნებებთან ბრძოლაში, რომელიც პატრიარქალური და პატერნალისტური საზოგადოებრივი ჩარჩოს დამკვიდრებას უწყობს ხელს.¹⁷ სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ განათლებაზე შებლუდული შესაძლებლობის მქონე გოგონებისა და ქალების ხელმისაწვდომობა და მათი შენარჩუნება განათლების სფეროში. სახელმწიფო მხარეებმა უნდა შექმნან სარეაბლიტაციო სერვისები, როგორც შებლუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების განვითარების, წინსვლისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი.

45 მე-7 მუხლი აცხადებს, რომ შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების უმთავრესი ამოცანა ბავშვის უზენაესი ინტერესის გათვალისწინებაა. საუკეთესო ინტერესი არის კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის მიერ ყველა ადამიანის უფლებების სრულად და ეფექტურად სარგებლობას და ბავშვის ჰოლისტიკურ განვითარებას.¹⁸ შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის მოსაზრებები და ინდივიდუალური იდენტობა, ოჯახის შენარჩუნების, მზრუნველობის, ბავშვის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხი, ბავშვის ჯანმრთელობისა და განათლების უფლება. ბავშვის უფლებების კონვენცია ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პოლიტიკისა და უზრუნველყოფის განსაზღვრა უნდა მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების საფუძველზე. მე-7 მუხლი დამატებით ადგენს, რომ შებლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უფლება აქვთ, გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, რომელთა

¹⁷ CEDAW კონცეფციის დოკუმენტი გოგონების/ბავშვების განათლების უფლების შესახებ ზოგადი რეკომენდაციის პროექტის თაობაზე 2014

¹⁸ CRC, ზოგადი კომენტარი No.14, CRC/C/GC/14, მაისი 2013წ.

გათვალისწინებაც უნდა მოხდეს ბავშვის ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად სხვა ბავშვებთან თანასწორობის საფუძველზე, ხოლო ბავშვები უზრუნველყოფილი უნდა იქნან შესაძლებლობის შეზღუდვისა და ასაკის შესაბამისი დახმარებით. საკუთარ განათლებაში ბავშვის მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა თანაბრად უნდა ეხებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს - სწავლაში და ინდივიდუალური განათლების გეგმებში, გაკვეთილების ფარგლებში, სკოლის საბჭოების მეშვეობით, სასკოლო პოლიტიკისა და სისტემების განვითარებისა და ფართო საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში.¹⁹

46 მე-8 მუხლი მოითხოვს ღონისძიებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით ცნობიერების ასამაღლებლად და სტერეოტიპებთან, ცრურწმენებთან და მავნე პრაქტიკასთან საბრძოლველად, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისა და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე პირებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც ინტენსიურ მხარდაჭერას საჭიროებენ. აღნიშნული ბარიერები აფერხებს როგორც საგანმანათლებლო სისტემაზე ხელმისაწვდომობას, ისე ეფექტურ სწავლას. კომიტეტი მიუთითებს პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ბავშვების ზოგიერთ მშობელს ბავშვი ინკლუზიური განათლების განმახორციელებელი სკოლიდან გამოყავს, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის ბუნების შესახებ არ გააჩნია საკმარისი ცნობიერება და აღქმა. სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები მრავალფეროვნების, მონაწილეობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის კულტურის შესაქმნელად და ხაზი გაუსვან ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას ყველა სტუდენტისათვის - როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისე არ მქონე სტუდენტებისათვის, მშობლების, მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, მოსახლეობისა და საზოგადოების ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის საქმეში. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი მექანიზმების არსებობა, რომლებიც საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე, მშობლებს შორის და ფართო საზოგადოებაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პატივისცემას შეუწყობს ხელს. ცნობიერების ამაღლების კუთხით განეულ საქმიანობაში მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა.

47 მე-9 და 24-ე მუხლები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ხელმისაწვდომობა წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში

¹⁹ CRC ზოგადი კომენტარი No.12 CRC

სრულად და თანასწორად მონაწილეობის წინაპირობას. შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირები ვერ შეძლებენ ეფექტურად ისარგებლონ ინკლუზიური განათლების უფლებით, შექმნილი გარემოს - მათ შორის სკოლებისა და განათლების სხვა დაწესებულებების - ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სერვისების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის გარეშე. სწავლების რეჟიმები და საშუალებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ხოლო სასწავლო პროცესი ხელმისაწვდომ გარემოში უნდა ტარდებოდეს. შებლუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის მთლიანი გარემო მოწყობილი უნდა იქნას იმგვარად, რაც ჩართულობას შეუწყობს ხელს. მეორეს მხრივ, თავად ინკლუზიური განათლება ძლიერი ინსტრუმენტია ხელმისაწვდომობისა და უნივერსალური დიზაინის ხელშესაწყობად.

48 კომიტეტი სახელმწიფო მხარეების ყურადღებას ამახვილებს მე-12 მუხლის შესახებ ზოგად კომენტარზე (CRPD/C/GC/1) და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინკლუზიური განათლება შებლუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით კი შებლუდული ფსიქო-სოციალური და ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს ნების გამოხატვის შესაძლებლობას. სახელმწიფო მხარეებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ინკლუზიური განათლება მხარს უჭერდეს შებლუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს ქმედუნარიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით თავდაჯერებულობის განმტკიცებაში და განათლების ყველა დონეზე საჭირო მხარდაჭერა აღმოუჩინონ, მათ შორის სამომავლოდ ქმედუნარიანობის განხორციელებაში მხარდაჭერის საჭიროების შემცირებით, მათი სურვილის შემთხვევაში.

49 შეიძლება ითქვას, რომ არაპროპორციულად მაღალია იმ შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების რიცხვი, რომლებიც ზარალდებიან ძალადობითა და შეურაცხყოფით, მათ შორის აკადემიური პერსონალის მიერ ფიზიკური და დამამცირებელი დასჯით (მაგ. შემზღუდავი საშუალებების გამოყენება და იზოლირება), და სხვების მიერ ბულინგით სკოლაში და სკოლის გზაზე. მე-16 მუხლი სახელმწიფო მხარეებს აკისრებს ვალდებულებას, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ძალადობისა და შეურაცხყოფის ყველა ფორმისგან დასაცავად და მათ მიმართ ძალადობისა და შეურაცხყოფის ყველა ფორმის პრევენციის მიზნით. აღნიშნულში შედის სექსუალური ძალადობაც. ეს ღონისძიებები მგრძობიარე უნდა იყოს ასაკის, გენდერისა და შებლუდული შესაძლებლობების მიმართ. კომიტეტი მტკიცედ უჭერს მხარს ბავშვის უფლებათა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და CESCO-ის რეკომენდაციებს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო

მხარეებმა უნდა აკრძალონ ყველა სახის ფიზიკური დასჯა, და სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა ნებისმიერ გარემოში, მათ შორის სკოლებში, ხოლო დამნაშავეთა მიმართ ეფექტური სანქციების გატარება უზრუნველყონ.²⁰ კომიტეტი სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს აძლევს რეკომენდაციას, პოლიტიკის, მათ შორის ხელმისაწვდომი დაცვის მექანიზმების შემუშავების პროცესში ჩართონ სტუდენტები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, იმუშაონ დისციპლინური ღონისძიებებისა და ბულინგის, მათ შორის კიბერ-ბულინგის პრობლემების გადაჭრაზე. ეს უკანასკნელი სულ უფრო მეტად არის აღიარებული სტუდენტების, განსაკუთრებით კი ბავშვების ყოველდღიური ცხოვრების მზარდ ნაწილად.

50 ინკლუზიური განათლება საჭიროებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების აღიარებას, იცხოვრონ საზოგადოებაში და შეძლონ საზოგადოებაში ინტეგრაცია და მონაწილეობა (მუხლი 19). აღნიშნული აგრეთვე მოითხოვს აღიარებას იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ ოჯახური ცხოვრების უფლება, ან ოჯახური ცხოვრების არ ქონის შემთხვევაში, საზოგადოებრივ გარემოში ალტერნატიული მზრუნველობის უფლება. სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისათვის - მაგალითად, მინდობით აღზრდაში ან ბავშვთა სახლებში განთავსებული ბავშვებისათვის - უზრუნველყოფილი უნდა იქნას ინკლუზიური განათლების უფლება და სახელმწიფო მხარის მიერ მიღებული იმ გადანაცვლებების გასაჩივრების უფლება, რომელიც მათ ინკლუზიური განათლების უფლებას ართმევს. არაერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი გრძელვადიანი მზრუნველობის სპეციალურ დაწესებულებაში ცხოვრობს და ხელი არ მიუწვდება თემზე დაფუძნებულ სერვისებზე, მათ შორის განათლებაზე, მათი, *inter alia*, ოჯახური ცხოვრების, საზოგადოებაში ცხოვრების, ასოციაციის თავისუფლების, ძალადობისაგან დაცვისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლების შესაბამისად. ადგილობრივ თემში ინკლუზიური განათლების შემოღება უნდა განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი სპეციალური დაწესებულებების გაუქმების სტრატეგიული ვალდებულების აღებასთან ერთად (იხ. პუნქტი 64). სახელმწიფო მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ინკლუზიური განათლების უფლების განხორციელების როლი იმ ძალის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საჭიროებენ იმისათვის, რომ შეძლონ თავიანთ ადგილობრივ საზოგადოებაში ცხოვრებით ტკბობა, სარგებელის მიღება და მათში წვლილის შეტანა.

²⁰ CRC ზოგადი კომენტარი No. 8, CRC/C/GC/8, March 2007;

51 ინკლუზიური განათლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირებს ინდივიდუალურად დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეთ (მუხლი 20). საგანმანათლებლო დაწესებულებაზე ხელმისაწვდომობის მხარდასაჭერად ტრანსპორტის მზა ხელმისაწვდომობის და ასევე, ინდივიდუალური დამხმარეს არ არსებობის შემთხვევაში, შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირები, განსაკუთრებით უსინათლო და მხედველობის შებენიერების მქონე პირები, უზრუნველყოფილი უნდა იქნან ადექვატური ტრენინგით მობილურობის უნარ-ჩვევებში, რაც მათი დამოუკიდებლობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. სახელმწიფო მხარეებმა შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირებს ასევე უნდა მისცენ გადაადგილებისთვის დამხმარე საშუალებებისა და მონყობილობების ხელმისაწვდომ ფასად შეძენის შესაძლებლობა.

52 შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ჯანმრთელობის დაცვის მაქსიმალურად მისაღწევი სტანდარტებით სარგებლობის უფლების განხორციელება (მუხლი 25) განათლებით სრულფასოვნად სარგებლობისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. საგანმანათლებლო გარემოში ყოფნისა და ეფექტურად სწავლის შესაძლებლობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჯანდაცვასა და შესაბამის მკურნალობასა და ზრუნვაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. სახელმწიფო მხარეებმა უნდა შექმნან ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და ნუტრიციის პროგრამები გენდერული პერსპექტივით, რომელთა ინტეგრაციაც მოხდება საგანმანათლებლო სერვისებში, და ჯანმრთელობის ყველა საჭიროების მუდმივი მონიტორინგის საშუალებას უზრუნველყოფს. ასეთი პროგრამები შემუშავებული უნდა იქნას უნივერსალური დიზაინისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების საფუძველზე, უნდა ითვალისწინებდეს რეგულარულ ვიზიტებს სკოლის მედდასთან და ჯანმრთელობის შემონახვას, და სათემო პარტნიორობის შექმნას. შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირები, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, ასაკის შესაბამისი, სრულფასოვანი და ინკლუზიური სექსუალური განათლებით უნდა იქნან უზრუნველყოფილი, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო მტკიცებულებასა და ადამიანის უფლებების სტანდარტებს, ხელმისაწვდომ ფორმატებში.

53 სახელმწიფო მხარეებმა უნდა განახორციელონ ეფექტური ღონისძიებები განათლების სისტემაში აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სერვისების, მათ შორის ჯანდაცვის, ოკუპაციური, ფიზიკური, სოციალური, საკონსულტაციო და სხვა სერვისების უზრუნველსაყოფად (მუხლი 26). აღნიშნული სერვისები მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე უნდა იწყებოდეს, სტუდენტის ძლიერი მხარეების

მულტიდისციპლინარულ შეფასებას უნდა მოიცავდეს და მხარს უჭერდეს მაქსიმალურ დამოუკიდებლობას, ავტონომიას, ღირსებას, სრულ ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და პროფესიულ შესაძლებლობასა და ცხოვრების ყველა ასპექტში ინკლუზიასა და მონაწილეობას. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს თემზე დაფუძნებული რეაბილიტაციის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობას - ისეთის, რომელიც ადრეულ იდენტიფიკაციასა და თანატოლთა მხარდაჭერას ითვალისწინებს.

54 ხარისხიანი ინკლუზიური განათლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ცხოვრებისათვის უნდა ამზადებდეს და ამ მიზნით ქმნიდეს პრომის ღია ბაზარზე და ღია, ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ სამუშაო გარემოში მონაწილეობისათვის საჭირო ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და თავდაჯერებულობის საფუძველს (მუხლი 27).

55 პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის გაუმჯობესება ხდება ინკლუზიური განათლების უფლებით. ყველა სტუდენტისათვის განკუთვნილი კურიკულუმი უნდა მოიცავდეს მოქალაქეობის თემას და თვით-ადვოკატირებისა და თვით-წარმომადგენლობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, რაც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის ფუნდამენტური საფუძველია. საზოგადოებრივი საქმეები მოიცავს სტუდენტური ორგანიზაციების (მაგ. სტუდენტური) ჩამოყალიბებასა და მათში მონაწილეობას, ხოლო სახელმწიფო მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთ გარემოს, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეძლებენ შექმნან, განეწიან და ეფექტური და სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ ასეთ სტუდენტურ ორგანიზაციებში, კომუნიკაციის ყველა ფორმების საშუალებითა და მათთვის სასურველი ენის გამოყენებით (მუხლი 29).

56 სახელმწიფო მხარეებმა უნდა აღკვეთონ ბარიერები და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ინკლუზიური შესაძლებლობების ხელმისაწვდომობასა და არსებობას, რათა მათ სხვებთან თანასწორობის საფუძველზე მიიღონ მონაწილეობა სკოლის თეატრალურ წარმოდგენებში, რეკრეაციულ და სპორტულ ღონისძიებაში, დამატებით სასწავლო საქმიანობასა და სხვა საგანმანათლებლო გარემოებში (მუხლი 30).²¹ საგანმანათლებლო გარემოში უნდა არსებობდეს შესაბამისი ღონისძიებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კულტურულ ცხოვრებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და მათ მიერ კრეატიული, არტისტული და

²¹ CRC No.17, CRC/C/GC/17, April 2013

ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და გამოყენებისათვის არა მხოლოდ საკუთარი სარგებელისთვის, არამედ საზოგადოების გასამდიდრებლად. აღნიშნული ღონისძიებები უნდა უზრუნველყოფდეს შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირების უფლებას მათი კონკრეტული კულტურული და ლინგვისტური იდენტობის აღიარებაზე, მათ შორის უცხოეთის ენა და სმენის არ მქონე ადამიანების კულტურა.

5 ადგილობრივ დონეზე განხორციელება

57 კომიტეტმა გამოავლინა რამოდენიმე გამოწვევა, რომელსაც გამუდმებით აწყდებიან სახელმწიფო მხარეები 24-ე მუხლის განხორციელების კუთხით. ქვემოთ მოყვანილი ღონისძიებები უნდა გატარდეს ეროვნულ დონეზე, ყველა შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირისათვის ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის განსახორციელებლად და შესანარჩუნებლად:

58 პასუხისმგებლობა შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირების განათლებაზე, განათლების ყველა დონეზე, სხვების განათლებასთან ერთად, განათლების სამინისტროს უნდა ეკისრებოდეს. არაერთ ქვეყანაში მარგინალიზებული შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირების განათლება შედის სოციალური კეთილდღეობის და/ან ჯანდაცვის სამინისტროების პასუხისმგებლობაში, რაც იწვევს, *inter alia*, შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირების გარიყულობას ძირითადი საგანმანათლებლო კანონმდებლობის, პოლიტიკის, დაგეგმვისა და რესურსების მოძიების პროცესებიდან, შებენიერი შესაძლებლობის მქონე პირთა განათლებაში ინვესტირების დაბალ დონეს (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით), ყოვლისმომცველი და შეთანხმებული სტრუქტურების ნაკლებობას ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად, ჩარიცხვის, შენარჩუნებისა და მიღწევების შესახებ მონაცემთა ინტეგრირებული შეგროვების ნაკლებობას, და მასწავლებელთა ინკლუზიური განათლების შემუშავების ვალდებულების შეუსრულებლობას. სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ დაუყოვნებელი ზომები შებენიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა განათლების სამინისტროს კომპეტენციის ქვეშ გადასაყვანად.

59 სახელმწიფო მხარეებმა ინკლუზიური განათლების მიმართ მთავრობის მასშტაბით უნდა იკისრონ კომპლექსური და დარგთაშორისი ვალდებულება. ინკლუზიური განათლების რეალიზება შეუძლებელია მხოლოდ განათლების სამინისტროს მიერ. ყველა შესაბამისმა სამინისტრომ და კომისიამ, რომელთა

პასუხისმგებლობაშიც შედის კონვენციის მნიშვნელოვანი მუხლები, უნდა იკისრონ ვალდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ. მათ უნდა გააჩნდეთ ერთიანი აღქმა ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის შედეგების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ინტეგრირებულ მიდგომას საერთო მიზნის მისაღწევად თანამშრომლობისთვის. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად თითოეული სამინისტროსათვის უნდა შეიქმნას ანგარიშგების ღონისძიებები. საჭიროა პარტნიორობების დამყარება სერვისის პროვაიდერებთან, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირების ორგანიზაციებთან, მედიასთან, ფართო სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სტუდენტების ასოციაციებთან და ფედერაციებთან, უნივერსიტეტებთან და მასწავლების საგანმანათლებლო კოლეჯებთან.

60 სახელმწიფო მხარეებმა, ყველა დონეზე უნდა მოახდინონ შებლუდული შესაძლებლობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელის შესაბამისი კანონმდებლობის შემოღება და განხორციელება, რომელიც 24-ე მუხლთან სრულ თანხვედრაშია. კომიტეტი სახელმწიფო მხარეებს შეახსენებს, რომ მე-4(5) მუხლი ფედერალურ სახელმწიფოებს ავალეს 24-ე მუხლის განხორციელებას ყოველგვარი შებლუდების ან გამონაკლისის გარეშე, ქვეყნის ყველა ნაწილში.

61 საჭიროა ინკლუზიური განათლების სრულფასოვანი და კოორდინირებული საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს შემოღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განხორციელების ნათელი და ადექვატური ვადები და დარღვევების შემთხვევაში სათანადო სანქციები. აღნიშნული ჩარჩო უნდა მოიცავდეს მოქნილობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და ყველა მოსწავლისათვის, და ახდენდეს მთავრობის ყველა დონეზე პასუხისმგებლობების იდენტიფიცირებას. ჩარჩოს ძირითადი ელემენტებია:

- a) ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა
- b) ინკლუზიისა და იმ კონკრეტული ამოცანების მკაფიო განსაზღვრება, რომელსაც ინკლუზია ისახავს მიზნად განათლების ყველა დონეზე. ინკლუზიის პრინციპები და პრაქტიკა რეფორმის განუყოფელ ნაწილად უნდა იქნას მიჩნეული, და არა უბრალოდ დამატებით პროგრამად.
- c) ინკლუზიური განათლების მნიშვნელოვანი უფლება საკანონმდებლო ჩარჩოს ძირითადი ელემენტია. უნდა გაუქმდეს დებულებები, რომლებიც, მაგალითად,

სტუდენტთა გარკვეულ კატეგორიებს ისეთ ადამიანებად მიიჩნევს, რომლებიც “განათლებას არ ექვემდებარებიან”.

- d) შებლუდული შესაძლებლობის მქონე და შებლუდული შესაძლებლობის არმქონე სტუდენტებისათვის ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური სწავლის შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის თანაბარი უფლების უზრუნველყოფა, ხოლო ცალკეული მოსწავლეებისათვის საჭირო მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობის თანაბარი უფლების უზრუნველყოფა, ნებისმიერ დონეზე.
- e) მოთხოვნა ყველა ახალი სკოლის “უნივერსალური დიზაინის” პრინციპის შესაბამისად დაპროექტებისა და აშენების შესახებ, ხელმისაწვდომობის სტანდარტების მეშვეობით, არსებითი სკოლების ადაპტაციისათვის კონკრეტულ ვადებთან ერთად, კომიტეტის მე-2 ზოგადი კომენტარის (CRPD/C/GC/2) შესაბამისად. რეკომენდირებულია სახელმწიფო შესყიდვების გამოყენება აღნიშნული ელემენტის განხორციელების მიზნით.
- f) ინკლუზიური განათლებისთვის ხარისხის სრულფასოვანი სტანდარტის შემოღება და შებლუდული შესაძლებლობის ინკლუზიური მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა ყველა დონეზე განხორციელებული პროგრესის მონიტორინგისათვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინკლუზიური განათლების პოლიტიკა და პროგრამები ხორციელდება და საჭირო ინვესტიციებით არის მხარდაჭერილი.
- g) პოლიტიკის ხელმისაწვდომი მონიტორინგის მექანიზმების შემოღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხორციელდება ინკლუზიური განათლების პოლიტიკა და საჭირო ინვესტიცია.
- h) გონივრული მისადაგების საჭიროების აღიარება, ადამიანის უფლების სტანდარტებზე (და არა რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე) დაფუძნებული ინკლუზიის მხარდასაჭერად; გონივრული მისადაგების ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სანქციების შემოღება.
- i) ყველა კანონმდებლობა, რომელიც პოტენციურად გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე, მკაფიოდ უნდა ასახელებდეს კონკრეტულ მიზანს - ინკლუზიას.

- j) ნაადრევი იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მხარდაჭერის თანმიმდევრული ჩარჩო, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ ინკლუზიური სწავლის გარემოში განვითარება.
- k) ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულება, დაგეგმონ და უზრუნველყონ ინკლუზიური განათლება ყველა მოსწავლისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ინკლუზიურ გარემოსა და საკლასო ოთახებში, მათ შორის შესაბამის ენებზე, ხელმისაწვდომ ფორმატებში, კომუნიკაციის რეჟიმებისა და საშუალებების გამოყენებით.
- l) ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის საგანმანათლებლო სისტემაში მათი მოსაზრების მოსმენისა და გათვალისწინების საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, მათ შორის სკოლის საბჭოების, მმართველი ორგანოების, ადგილობრივი და ეროვნული მთავრობების მეშვეობით; ასევე, განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმების შექმნა.
- m) დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობისა და კოორდინაციის შექმნა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მეშვეობით, სხვადასხვა სააგენტოებთან, განვითარების ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მშობლებთან/მომვლელლებთან.

62 კანონმდებლობას მხარს უნდა უჭერდეს განათლების დარგობრივი გეგმას, რომლის შემუშავებაც ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის ბავშვების წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე. იგი დეტალურად უნდა ასახავდეს ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის განხორციელების პროცესს და შეიცავდეს ვადებსა და გაზომვად მიზნებს, მათ შორის ზომებს თანმიმდევრობის უზრუნველსაყოფად. გეგმის ინფორმირება უნდა მოხდეს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული არსებული კონტექსტის სრულფასოვანი ანალიზით, რაც უზრუნველყოფს პროგრესის საბაზისო მონაცემების არსებობას, მათ შორის მონაცემებს არსებული საბიუჯეტო ასიგნებების, მონაცემთა შეგროვების ხარისხის, სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოდენობის, გამონწვევებისა და ბარიერების, არსებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესახებ და ასევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ოჯახების, ისე სახელმწიფო მხარის ძირითადი ინტერესების თაობაზე.

63 სახელმწიფო მხარეებმა უნდა შექმნან გასაჩივრების დამოუკიდებელი, ეფექტური, ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე, უსათრთხო და აღსრულებადი მექანიზმები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები განათლების უფლების დარღვევის შემთხვევებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულების სისტემაზე, რომელსაც ესმის, თუ როგორ უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები და შეძლებს განიხილოს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებთან დაკავშირებით აღძრული პრეტენზიები. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ზოგადად განათლების უფლების შესახებ, უარის ან დარღვევის გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება და ფართოდ გავრცელება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობით.

64 ინკლუზიური განათლება შეუთავსებელია ინსტიტუციონალიზაციასთან. სახელმწიფო მხარეებმა უნდა წამოიწყონ დეინსტიტუციონალიზაციის კარგად დაგეგმილი და სტრუქტურირებული პროცესი, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული უნდა იქნას: დეინსტიტუციონალიზაციაზე გადასვლის მართული პროცესი და კონკრეტული ვადები; საკანონმდებლო მოთხოვნების შემოღება თემზე დაფუძნებული უზრუნველყოფის შექმნის მიზნით, ფინანსური სახსრების მიმართულების ხელახლა განსაზღვრა და მრავალ-დისციპლინარული ჩარჩოს შემოღება თემზე დაფუძნებული სერვისების გასამყარებლად; ოჯახებისათვის მხარდაჭერის აღმოჩენა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კონსულტაცია, მათ შორის ბავშვებთან, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებთან და მზრუნველებთან. დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულებამდე, მზრუნველობაში განთავსებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაუყოვნებლივ უნდა მიეცეთ ინკლუზიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, მათი თემში არსებულ ინკლუზიურ აკადემიურ დაწესებულებებთან დაკავშირების გზით.

65 ბავშვობის ადრეული ინტერვენციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის და მეტი შესაძლებლობების განმტკიცების მიზანს ემსახურება, იმისათვის, რომ მათ ისარგებლონ განათლებით, ჩაირიცხონ და იარონ სკოლებში. ნებისმიერი ასეთი ინტერვენცია ბავშვის ღირსებისა და ავტონომიურობის პატივისცემას უნდა უზრუნველყოფდეს. SDG 4-ისა და 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესაბამისად, სახელმწიფო მხარეებს მოეთხოვებათ, უზრუნველყონ ბავშვობის ხარისხიან ადრეულ განვითარებაზე, მზრუნველობასა და სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა და ასევე, მხარდაჭერა და ტრენინგი ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

ბავშვების მშობლებისა და მზრუნველებისათვის. ადრე გამოვლენისა და მხარდაჭერის შემთხვევაში, ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები უფრო ადვილად მოახდენენ გადასვლას სკოლამდელი და დაწყებითი ინკლუზიური განათლების გარემოში. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ კოორდინაცია შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო უწყებებსა და ორგანოებს შორის და ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებსა და სხვა არასამთავრობო პარტნიორებთან.

66 31-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მხარეებმა უნდა შეაგროვონ შესაბამისი დეტალური მონაცემები, რაც მათ საშუალებას მისცემს, ჩამოაყალიბონ 24-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების განსახორციელებლად საჭირო პოლიტიკა, გეგმები და პროგრამები. ისინი ვალდებული არიან, მიიღონ ზომები ჯანმრთელობის სხვადასხვა დარღვევის მქონე პირების შესახებ ზუსტი მონაცემების არ არსებობის პრობლემის გადასაჭრელად, ასევე განათლების სფეროში ხელმისაწვდომობის, მდგრადობისა და პროგრესის, გონივრული მისადაგებისა უზრუნველყოფისა და შესაბამისი შედეგების შესახებ საკმარისი ხარისხიანი კვლევისა და მონაცემების არ არსებობის პრობლემის გადასაჭრელად. აღწერა, კვლევა, ადმინისტრაციული მონაცემები, მათ შორის “განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა” (EMIS) უნდა ასახავდეს მონაცემებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების შესახებ, მათ შორის მათ შესახებ, ვინც კვლავ ინსტიტუციონალურ გარემოში ცხოვრობს. სახელმწიფო მხარეებმა აგრეთვე უნდა შეაგროვონ დეტალური მონაცემები და მტკიცებულება იმ ბარიერების შესახებ, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ინკლუზიურ ხარისხიან განათლების გარემოზე ხელმისაწვდომობის, ამ გარემოში დარჩენისა და პროგრესის განხორციელების შესაძლებლობას ართმევს, რაც ამ ბარიერების აღმოსაფხვრელად ეფექტური ღონისძიებების მიღებას გახდის შესაძლებელს. სახელმწიფო მხარეებმა უნდა მიიღონ სტრატეგიები სტანდარტული თვისობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვების მექანიზმებიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარიცხვის წინააღმდეგ, მშობლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის არსებობის აღიარებისგან თავის შეკავების, დაბადების რეგისტრაციის არ არსებობისა და ინსტიტუციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უხილავობის გათვალისწინებით.

67 სახელმწიფო მხარეებმა საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები უნდა გამოიყონ განათლების სექტორის განვითარებისა და დარგთაშორისი გეგმების შემუშავებისათვის, ინკლუზიური განათლების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით თანდათანობით განხორციელების ცნების შესაბამისად. სახელმწიფო

მხარეებმა უნდა მოახდინონ მმართველობის სისტემებისა და ფინანსური მექანიზმების რეფორმირება ყველა შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით. სახელმწიფო მხარეებმა ასევე უნდა გამოყოფონ სახსრები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის და კერძო სექტორთან თანამშრომლობის ფარგლებში ხელმისაწვდომი მექანიზმების გამოყენებით. სახსრების გამოყოფის პროცესში პრიორიტეტულობა უნდა მიენიჭოს, inter alia, არსებული საგანმანათლებლო გარემოს დროული ხელმისაწვდომობისათვის საკმარისი რესურსების გამოყოფას, მასწავლებელთა ინკლუზიურ განათლებაში ინვესტირებას, გონივრული მისადაგების ხელმისაწვდომობის, სკოლამდე ხელმისაწვდომი ტრანსპორტის, შესაბამისი და ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოების, სწავლისა და სწავლების მასალების, დამხმარე ტექნოლოგიური საშუალებებისა და აუტის ენის უზრუნველყოფას; ასევე, სტიგმისა და დისკრიმინაციის, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო გარემოში ბულინგის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების ინიციატივების განხორციელებას.

68 კომიტეტი სახელმწიფო მხარეებს მოუწოდებს, მოახდინონ რესურსების მიმართვა სეგრეგირებული გარემოდან ინკლუზიური გარემოსკენ. სახელმწიფო მხარეებმა უნდა შეიმუშაონ დაფინანსების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს რესურსებსა და წახალისების საშუალებებს განათლების ინკლუზიური მოდელის უზრუნველსაყოფად, შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საჭირო მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით. შესაფერისი ფინანსური მიდგომის განსაზღვრისას მნიშვნელოვანწილად გათვალისწინებული უნდა იქნას არსებული საგანმანათლებლო გარემო და იმ პოტენციური შებლუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მოთხოვნები, რომელზეც აღნიშნული გარემო ახდენს გავლენას.

69 საჭიროა სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი და პროფესიული განათლების დონეებზე მასწავლებელთა საგანმანათლებლო პროცესის ინიცირება, რათა ისინი აღჭურვილ იქნან საჭირო კომპეტენციებითა და ღირებულებებით ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში სამუშაოდ. აღნიშნული საჭიროებს მასწავლებლად მუშაობის დაწყებამდე და მუშაობის დროს გადამზადების ტრენინგების ცვლილებებს, რომ შესაძლო უმოკლეს ვადებში მოხდეს შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინკლუზიურ საგანმანათლებლო სისტემაზე გადასვლას. ყველა მასწავლებელი უზრუნველყოფილი უნდა იქნას სპეციალური კრედიტებით/მოდულებით, მათი ინკლუზიურ გარემოში მუშაობისათვის მოსამზადებლად; ასევე,

პრაქტიკული/გამოცდილებით სწავლით, რისი საშუალებითაც ისინი განივითარებენ უნარ-ჩვევებსა და თავდაჯერებულობას ინკლუზიასთან დაკავშირებული სხვადასხვა გამოწვევების გადასაჭრელად. მასწავლებელთა განათლების ძირითადი ნაწილი უნდა ეთმობოდეს ადამიანების მრავალფეროვნების, ზრდისა და განვითარების, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მოდელისა და ინკლუზიური პედაგოგიკის საკითხებს, მათ შორის სტუდენტების ფუნქციონალურ შესაძლებლობებს - ძლიერი მხარეები, ნიჭი/ტალანტი და სწავლის სტილი - მათ ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მასწავლებელთა განათლება უნდა მოიცავდეს კომუნიკაციის შესაბამისი აუგმენტატიური და ალტერნატიული მეთოდების, საშუალებებისა და ფორმატების შესახებ სწავლას - ისეთების, როგორცაა ბრაილის შრიფტი, დიდი ზომის შრიფტით ბეჭდვა, ხელმისაწვდომი მულტიმედია, ადვილად წასაკითხი ფორმატი, მარტივი ენა, ჟესტების ენა და სმენის არ მქონე ადამიანების კულტურა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდასაჭერი საგანმანათლებლო მეთოდები და მასალები. ამასთან, მასწავლებლებს ესაჭიროებათ პრაქტიკული ხელმძღვანელობა და დახმარება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ინდივიდუალური სწავლება; ერთი და იგივე მასალის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით სწავლება, თითოეული პირის განსხვავებული სწავლის სტილისა და მათთვის დამახასიათებელი უნიკალური შესაძლებლობების შესაბამისად; ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების გამოყენება კონკრეტული სასწავლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და სტუდენტების საგანმანათლებლო მიზნებზე ორიენტირებული პედაგოგიკის შემოღება.

70 ინკლუზიური განათლება საჭიროებს საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა დონეზე მასწავლებელთათვის მხარდაჭერისა და რესურსების სისტემების შექმნას, რაც შესაძლოა მოიცავდეს: მეზობელ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის უნივერსიტეტებთან პარტნიორობას, თანამშრომლური პრაქტიკის, მათ შორის გუნდური მუშაობის, სამეცადინო ჯგუფების, სტუდენტების ერთობლივი შეფასების პროცესების, თანატოლთა მხარდაჭერისა და გაცვლითი ვიზიტების მხარდაჭერას და ასევე, სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მშობლები/მზრუნველები, საჭიროების შემთხვევაში ითანამშრომლებენ სასწავლო პროგრამების, მათ შორის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მასწავლებელთათვის კონსულტაციის განვასა და დახმარებაში, ცალკეული სტუდენტებისათვის მხარდაჭერის აღმოჩენის საქმეში, თუმცა, მათი არსებობა არ უნდა იყოს აუცილებელი პირობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

სტუდენტების საგანმანათლებლო სისტემაში მისაღებად. სახელმწიფო მხარეებმა მასწავლებლების მხარდასაჭერად ყველა შესაძლო რესურსი უნდა გამოიყენონ, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების წარმომადგენლობითი ორგანიზაციები და ადგილობრივი თემის წევრები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ თანატოლთა მენტორინგის, პარტნიორობის განვითარებას და პრობლემების გადაჭრის კუთხით. მათი ჩართულობა დამატებითი რესურსია საკლასო ოთახში და ემსახურება ადგილობრივ თემებთან კავშირების გამყარების, ბარიერების აღმოფხვრისა და მასწავლებლების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ძლიერი მხარეებისა და მოთხოვნების მიმართ გულისხმიერებისა და მგრძობიარობის გაზრდის მიზანს.

71 ხელისუფლების ყველა დონეზე უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, თავდადება და რესურსები ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი კანონმდებლობების, პოლიტიკისა და პროგრამების განსახორციელებლად. სახელმწიფო მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ტრენინგის შემუშავება და განხორციელება, რომელიც ყველა შესაბამის უწყებას მიაწვდის ინფორმაციას კანონის თანახმად მათზე დაკისრებული მოვალეობების შესახებ და დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გააზრებაში. ინკლუზიური საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის განსახორციელებლად საჭირო უნარ-ჩვევები, ცოდნა და აღქმა მოიცავს: ინკლუზიური განათლების უფლების კონცეფციისა და მისი მიზნების გააზრებას, შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცოდნას, ინკლუზიური საგანმანათლებლო გეგმების შემუშავებას, თანამშრომლობასა და პარტნიორობას, ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერას, ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას, მონიტორინგსა და შეფასებას.

72 ხარისხიანი ინკლუზიური განათლება საჭიროებს სტუდენტების პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდებს, სადაც გათვალისწინებული იქნება ის ბარიერები, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები აწყდებიან. შეფასების ტრადიციულმა სისტემებმა, რომლებიც იყენებენ სტუდენტთა მიღწევების საზომი სტანდარტიზებული ტესტის ქულებს წარმატების ერთადერთი ინდიკატორის სახით, როგორც მოსწავლეებისათვის, ისე სკოლებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს შესაძლოა უთანასწორო პირობები შეუქმნას. აღნიშნულის ნაცვლად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ფართო მიზნებისკენ ცალკეული სტუდენტის მიერ განხორციელებულ პროგრესზე. შესაბამისი სასწავლო მეთოდოლოგიით, მხარდაჭერითა და მისადაგებით,


შესაძლებელია ყველა კურიკულუმის ადაპტირება თითოეული სტუდენტის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სტუდენტების შეფასების ინკლუზიური სისტემების განმტკიცება შესაძლებელია ინდივიდუალური მხარდაჭერის სისტემის მეშვეობით.

73 33-ე მუხლის შესაბამისად, და ინკლუზიური საგანმანათლებლო სისტემის შექმნით განათლების უფლების რეალიზაციის კუთხით განხორციელებული წინსვლის გასაზომად, სახელმწიფო მხარეებმა უნდა შეიმუშაონ მონიტორინგის ჩარჩო სტრუქტურული, პროცესუალური და შედეგობრივი ინდიკატორებითა და თითოეული ინდიკატორის შესაბამისი კონკრეტული ნიშნულებითა და სამიზნეებით, SDG 4-ის შესაბამისად.²² წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა მონაწილეობდნენ როგორც ინდიკატორების განსაზღვრაში, ისე მონაცემებისა და სტატისტიკის შეგროვებაში. სტრუქტურული ინდიკატორები გამოყენებული უნდა იქნას ინკლუზიური განათლების დამაბრკოლებელი ბარიერების გასაზომად და მათი გამოყენება მხოლოდ ჯანმრთელობის დარღვევის მიხედვით დეტალიზებული მონაცემების შეგროვებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. პროცესუალური ინდიკატორები - ისეთები, როგორებიცაა ცვლილებები ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის კუთხით, კურიკულუმის ადაპტაცია ან მოსწავლეების ტრენინგი ტრანსფორმაციის პროცესში განხორციელებული წინსვლის მონიტორინგის საშუალებას იძლევა. აგრეთვე, საჭიროა შედეგების ინდიკატორების შექმნა - მაგალითად, ინკლუზიურ სასწავლო გარემოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების რა პროცენტმა შეძლო ფინალური ოფიციალური სერთიფიკატის ან დიპლომის მიღება; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების რა პროცენტი ჩაირიცხა საშუალო განათლების დაწესებულებაში. სახელმწიფო მხარეებმა უნდა განიხილონ განათლების ხარისხის გაზომვის შესაძლებლობა, მაგალითად, UNESCO-ს მიერ რეკომენდირებული ხუთი განზომილების საფუძველზე: უფლებების პატივისცემა, თანასწორობა, რელიევანტურობა, შესაბამისობა, ეფექტურობა და ქმედითობა. შესაძლებელია ისეთი პოზიტიური ქმედების ღონისძიებების მონიტორინგი, როგორიცაა კვოტები ან წამახალისებელი საშუალებები.

74 კომიტეტი მიუთითებს არაერთ ქვეყანაში განათლების კერძო სექტორის ზრდაზე. სახელმწიფო მხარეებმა უნდა აღიარონ, რომ ინკლუზიური განათლების უფლება ვრცელდება ყველა სახის განათლებაზე და არა მხოლოდ საჯარო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილ განათლებაზე. სახელმწიფო მხარეებმა

²² იხ. OHCHR, *Human Rights Indicators: A guide to measurement and implementation* (New York and Geneva, 2012)

უნდა მიიღონ ღონისძიებები, რომელიც განათლების უფლებას მესამე მხარის (მათ შორის ბიზნეს სექტორის) მიერ დარღვევისაგან დაიცავს. განათლების უფლებასთან დაკავშირებით, აღნიშნული ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის ვალდებულებასა და, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავდეს კანონმდებლობასა და მარეგულირებელ წესებს, მონიტორინგს, ზედამხედველობას, აღსრულებასა და ისეთი პოლიტიკის მიღებას, რომელიც განსაზღვრავს თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ბიზნესმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ უფლებების ეფექტურად სარგებლობასა და განხორციელებაზე. საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები და სანარმოები, მომხმარებლებს დამატებით საუბრის არ უნდა ართმევდნენ ხელმისაწვდომობისა და/ან გონივრული მისადაგებისათვის.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა
სამართლებრივი ადვოკატირების პროექტი

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის
კედლას ქ. 7, 0154, თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 35 66 09
info@disability.ge
www.disability.ge